აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№77 (24.957) შაბათი, 23 - 25 ივლისი, 2022 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 22-27, შიდამთიან რაიონებში - 18-23, მაღალ მთაში - 13-18 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 23 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 758 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

დეპოლარიზაციის მიზნით ჩემი პასუხისმგებლობა საკმარისად ავიღე. სამი ადამიანი შევიწყალე - უგულავა, ოქრუაშვილი და რურუა. გასამდა და დამთავრდა, - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა. პრეზიდენტის თქმით, ახლა პოლარიზაციის დასრულებაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებამ უნდა აიღოს. როგორც მან აღნიშნა, პრეზიდენტის ადმინისტრაცია ევროკომისიის მიერ წამოყენებული 12-პუნქტის შესასრულებლად შექმნილი კომისიების მუშაობაში ჩართვას მოითხოვს.

* * *

პრემიერ-მინისტრი ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დელეგაციას შეხვდა. ირაკლი ღარიბაშვილმა დევიდ მაკალისტერთან პირისპირ შეხვედრა გამართა, რის შემდეგაც მოლაპარაკება გაფართოებულ ფორმატში გაგრძელდა. ევროპარლამენტარებს შეხვდა ასევე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე. პარტიის ოფისში მათ განიხილეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხი, ასევე, ქვეყანაში და რეგიონში მიმდინარე მოვლენები. „იყო ძალიან საინტერესო დისკუსია ყველა თემასთან დაკავშირებით. მათ კიდევ ერთხელ დააფიქსირეს მხარდაჭერა საქართველოს ევროპული კურსის მიმართ, რაც ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა“ - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

* * *

სამუშაო ჯგუფები, რომლის თაობაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, გამიზნული იქნება შედეგზე და არა პროცესის სიმულაციაზე - განაცხადა გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრის შემდეგ პარტია „ლელოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ბადრი ჯაფარიძემ. მისი თქმით, შედგა შეთანხმება, რომ ევროკავშირის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების მიზნით დაიწყება მუშაობა, საკონსულტაციო-სამუშაო ჯგუფების შექმნის გზით და სექტემბრისთვის ისეთი კანონპროექტები მომზადდება, რომელიც ევროკომისიის მოლოდინებსა და სტანდარტებს უპასუხებს.

* * *

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელისუფლებას სიტუაციის რადიკალიზაციის საშუალება არ უნდა მისცეს, - განაცხადა „გირჩის“ დეპუტატმა იაგო ხვიჩიამ, რითაც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ლევან ბეჟუაშვილის განცხადებას გამოეხმაურა იმასთან დაკავშირებით, რომ პარტიამ შესაძლოა, პარტნიორების პოზიცია გაითვალისწინოს და ხელისუფლების შექმნილი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში ჩაერთოს. ხვიჩია მიიჩნევს, რომ პარტიამ ეს ნაბიჯი უნდა გადადგას და სამუშაო პროცესს შეუერთდეს.

მოამზადა
ია შველიძემ

აჭარა უკრაინელ ბავშვებს მასპინძლობს

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, საგარეო საქმეთა სამინისტროს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩართულობით, უკრაინელი ბავშვები ზაფხულის სეზონზე აჭარაში დაისვენებენ

უკრაინელი მოქალაქეების ჯგუფი, კერძოდ, მცირეწლოვანი ბავშვები და მათი მშობლები აჭარას 21 ივლისს ეწვივნენ. მცირეწლოვან ბავშვებსა და მათ მშობლებს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ კონსტანტინიდი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი დახვდნენ. პატარა სტუმრებს გასართობი პროგრამით საყვარელი ანიმაციური პერსონაჟები შეეგებნენ. უკრაინელი ბავშვები ერთთვიან გამაჯანსაღებელ და დასვენების კურსს გონიოში გაატარებენ. აჭარის მთავრობის ორგანიზებით, მათთვის დაგეგმილია გასართობ-შემეცნებითი აქტივობები და ტურები. „ნიშანდობლივია, რომ სწორედ საგარეო საქმეთა სამინისტრო მასპინძლობს და ორგანიზებას უწევს აღნიშნულ ღონისძიებას, რაც კიდევ ერთი ნათელი მაგალითი და გამოხატულებაა იმ მხარდაჭერისა, რომელსაც საქართველო უკრაინელი ხალხის მიმართ იჩენს როგორც პოლიტიკური, ისე ჰუმანიტარული თვალსაზრისით,“ - განაცხადა ვლადიმერ კონსტანტინიდმა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრ მაია ხაჯიშვილის თქმით, აღნიშნული პროგრამა შესაძლებლობას მისცემს უკრაინელ ბავშვებს, გაეცნონ აჭარის რეგიონს, დაეხმარება მათ იმ ემოციებთან გამკლავებაში, რაც საომარ მდგომარეობას უკავშირდება.

ქალაქ კიევის ვიცე-მერის მარინა ხონდას შეფასებით, საქართველოს მთავრობის ყოვლისმომცველი დახმარება სწორედ იმის დასტურია, რომ ორივე ქვეყანას ძალიან კარგად აქვს გააზრებული, თუ ვის ებრძვის და რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი შვილების მომავალი. „ამიტომაც, კიდევ ერთხელ გამოვხატავ ღრმა მადლიერებას ქართველი ხალხის, საქართველოს მთავრობის და სრულიად საქართველოს მიმართ.“ - განაცხადა მარინა ხონდამ.

„მადლიერები ვართ თქვენი ქვეყნის, ქართული მხარის, ჩვენი პატარების დასასვენებლად დაპატიჟებისთვის. ჩვენს ქვეყანაში ამჟამად ომი მიმდინარეობს. ჩვენი ბავშვები ზარალდებიან ბომბებისგან, სირენების ხმაურისგან. უღრმესი მადლობა ასეთი შესაძლებლობისთვის.“ - თქვა უკრაინის მოქალაქე ანა შვიდენკომ.

აღსანიშნავია, რომ უკრაინელი ბავშვების საქართველოში დასვენების პროგრამა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, საგარეო საქმეთა სამინისტროს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩართულობით და უკრაინაში საქართველოს საელჩოსა და ქალაქ კიევის მერიის თანამშრომლობით ხორციელდება. ჯგუფის საქართველოში მგზავრობას და დასვენებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს.

ანკა ჩხიკვაძე

გადასცემენ თუ არა უსახლკაროებს ბათუმში, გოგოლის ქუჩაზე აშენებულ უკანონო სახლოვრებლებს? 2

«ნდობა დიდი პასუხისმგებლობა და, შესაბამისად, მოტივაციაა» 4

«დღეს საზოგადოების დაკვეთა არის ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე სრული ქართული პოლიტიკური სპექტრის კონსოლიდაცია» 3

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

რეგიონული შეხვედრების ციკლი აჭარიდან დაიწყო

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა ლელა ჯანაშვილმა და სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ ოთარ ჩახუნაშვილმა რეგიონული შეხვედრების ციკლი დაიწყეს, რომლის ფარგლებში პირველი შეხვედრა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გაიმართა

ლელა ჯანაშვილმა მთავრობის თავმჯდომარესთან თორნიკე რიჟვაძესთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა და მას სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, გეგმები და გამოწვევები გააცნო.

შეხვედრას, ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე ოთარ ჩახუნაშვილი, აჭარის მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი თინათინ ზოიძე და აჭარის მთავრობის აპარატის უფროსი ჯაბა სურმანიძე ესწრებოდნენ.

სამსახურის უფროსი, პირველი მოადგილე და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სხვა თანამშრომლები აჭარის სამინისტროების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მერებს, ადგილობრივი თვითმმართველობების და უმაღლესი საარჩევნო კომისიის თანამშრომლებს შეხვდნენ.

ლელა ჯანაშვილმა ხაზი გაუსვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მანდატს, მისი, როგორც დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს ფუნქციებს და მუნიციპალიტეტებთან მჭიდრო და კოორდინირებული თანამშრომლობის მნიშვნელობას.

სამსახურის საჯარო სექტორზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსმა ქეთევან კრაწაშვილმა და დეპარტამენტის უფროსის მოადგილე სოფიო შამუგიამ კი მუნიციპალიტეტებში პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრეს.

მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა შეხვედრის შემაჯამებელ ნაწილში პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებულ არაერთ პრაქტიკულ საკითხზე და სამსახურთან თანამშრომლობის საჭიროებაზე გაამახვილეს ყურადღება, სადაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი ლელა ჯანაშვილი და სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი ია ყიფიანი აჭარის პროკურორს ზაზა მეტონიძეს და პროკურატურის სხვა თანამშრომლებსაც შეხვდნენ. მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სექტემბრიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური აჭარის პროკურატურის თანამშრომლებისთვის ტრენინგებს გამართავს.

გადასცემენ თუ არა უსახლკაროებს ბათუმში, გოგოლის ქუჩაზე აშენებულ უკანონო საცხოვრებლებს?

ზიქრია დავლაძე 579 25 25 72

22 ივლისს ბათუმის მერიასთან ათობით ოჯახმა მშვიდობიანი აქცია გამართა და გოგოლის ქუჩაზე ბიზნესმენ გალიფ ოზთურქის მიერ აშენებულ კორპუსებში შესახლება მოითხოვა. გარდა ამისა, მათ შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებთან შეხვედრა და საუბარიც სურდათ, აინტერესებდათ, არსებობს თუ არა გზა, რეგიონში უსახლკაროთა პრობლემის მოსაგვარებლად

- ჩვენ წლების განმავლობაში ქირით ვცხოვრობთ, არანაირი საშუალება არ გვაქვს, რომ შევიძინოთ ან ვიგირაოთ საცხოვრებელი ფართი. ფაქტობრივად, წლებია ვმუშაობთ იმისთვის, რომ ქირა ვიხადოთ და შიმშილით არ დავიხოცოთ. შეიქმნა ორგანიზაცია „ფუხარას ხმა“ მერაბ ბლადაძის ხელმძღვანელობით და ერთად ვცდილობთ გამოსავლის მოძებნას. შევაგროვეთ ხელმოწერები, ამოვიღეთ რეესტრიდან ინფორმაციები იმის შესახებ, რომ არაფერი ფიქსირდება ჩვენს სახელზე, არანაირი უძრავი ქონება არ გაგვაჩნია. გარდა ამისა, შევიტანეთ მერის სახელზე განცხადებები. იქნებ გაითვალისწინონ ჩვენი თხოვნა და დაგვაკმაყოფილონ მცირე ფართებით მაინც, - ამბობს აქციის ერთ-ერთი მონაწილე ვარდო დიასამიძე.

როგორც შეკრებილებმა განაცხადეს, გოგოლის ქუჩაზე აშენებული კორპუსები ბიზნესმენის საკუთრებაა და თხოვნით მასაც დაახლოებით ერთი თვის წინ წერილობით მიმართეს. „ჩვენ მოძრაობა „ფუხარას ხმის“ წევრები, ადამიანები, რომლებსაც საცხოვრებელი არ გაგვაჩნია და იძულებულები ვართ ვიცხოვროთ ჩვენი ოჯახებით მეწყრულ ზონებში ან ნაქირავებ ფართებში, მოგმართავთ თქვენ და გთხოვთ, ჩვენი მოძრაობის წევრებს გადმოგვცეთ ბათუმში, გოგოლის ქ. №11-ში თქვენ მიერ აშენებული მრავალსართულიანი სახლები. ამით აჭარაში უსახლკარობის პრობლემა მოიხსნება“, - ნათქვამია წერილში.

- მართალია, ის კორპუსები უკანონოდაა აგებული და დემონტაჟს ექვემდებარება, მაგრამ ბევრი გზა არსებობს იმისთვის, თუ როგორ გამოიყენოს მთავრობამ სოციალური პრობლემის მოსაგვარებლად ეს მდგომარეობა. ბათუმის ინსპექციის მოთხოვნაა, დემონტაჟი განხორციელდეს, თუმცა სასამართლო ჯერ არ გამართულა. გოგოლის ქუჩის კორპუსებით რომ დააკმაყოფილონ უსახლკაროები, ამით არაფერი დაშავდება. თუ სასამართლო მიიღებს დემონტაჟის გადაწყვეტილებას, მაშინ ჩნდება კითხვა: როდესაც მშენებლობა მიმდინარეობდა, სად იყვნენ? - ამბობს „ფუხარას ხმის“ წარმომადგენელი გიორგი ოკრიბელაშვილი.

ბათუმის მერიასთან შეკრებილებთან ერთად იმყოფებოდა აქციის ორგანიზატორი მერაბ ბლადაძე და უფლებადამცველი თამაზ ბაკურიძე, რომლებიც, ასევე, მერიისგან პასუხს ელოდებოდნენ.

- იმედი არ მაქვს, რომ ხალხის მოთხოვნა დაკმაყოფილდება. მოთხოვნა არის ის, რომ სახელმწიფომ საკანონმდებლო დონეზე უსახლკაროთა სტატუსი აღიაროს, თუ ეს არ მოხდა, ვერ დაკმაყოფილდებიან. ქალაქ ბათუმს ბინის ფართებთან დაკავშირებით ამის რესურსი აქვს. უამინდობის მიუხედავად, რამდენი ადამიანი მოვიდა და რამდენია უსახლკარო, ხედავთ, - გვითხრა უფლებადამცველმა თამაზ ბაკურიძემ.

ბათუმის საკრებულოს სხდომაზე, რომელიც 19 ივლისს გაიმართა, გაუღერდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გოგოლის ქუჩაზე ბიზნესმენის მიერ უკანონოდ აშენებული კორპუსები დემონტაჟს ექვემდებარება. შეგახსენებთ, რომ ბათუმში, ბონის დასახლებაში, გასულ წელს „მეტრო ჰოლდინგში“ შემავალი ერთ-ერთი კომპანიის მიერ უკანონოდ აშენებულ 9 კორპუსში უძრავი ქონების გაყიდვა დაიწყო. ახალ დასახლებას, ქონების მესაკუთრეები როგორც „ბონი სითი“ ან „ჰექსინ მომავლის ქალაქი“ მოიხსენიებდნენ. გოგოლის ქ. № 11-ში რეგისტრირებულია რამდენიმე კომპანია. არავინ იცის, ყაზარმული ტიპის შენობები რა დანიშნულებისაა. თუმცა გავრცელებული ინფორმაციით, აქ ჩინეთის მოქალაქეები უნდა დასახლებულიყვნენ.

უკრაინა

24 თებერვლიდან 22 ივლისამდე პერიოდში, უკრაინულმა ძალებმა 39 000 რუსი ჯარისკაცი მოკლეს. უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში ლიკვიდირებულია 150 ოკუპანტი. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, უკრაინელმა დამცველებმა გაანადგურეს მტრის 1704 ტანკი, 3920 ჯავშანტექნიკა, 863 საარტილერიო სისტემა, 251 ზალპური ცეცხლის სარაკეტო სისტემა, 113 საჰაერო თავდაცვის სისტემა, 221 თვითმფრინავი, 188 ვერტმფრენი, 713 ოპერატიულ-ტაქტიკური დრონის უპილოტო საფრენი აპარატი, 15 გემი/ნავი, 167 ფრთოსანი რაკეტა, 2803 ერთეული სატრანსპორტო საშუალება და საწვავის ავზი, 72 ერთეული სპეცტექნიკა. რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყებიდან უკრაინის სამართალდამცავმა უწყებებმა რუსეთის ფედერაციის მიერ ჩადენილი 36 383 დანაშაული დაარეგისტრირეს. გარდა ამისა, რეგისტრირებულია ომისა და აგრესიის 24 632 დანაშაული, აქედან 23 721 - ომის კანონებისა და წეს-ჩვეულებების დარღვევას, 73 - აგრესიული ომის დაგეგმვას, მომზადებას ან წამოწყებასა და წარმოებას, 21 - ომის პროპაგანდას, 817 კი სხვა დანაშაულებს უკავშირდება.

* * *

რუსეთი აგრძელებს უგლეგორსკის თბოელექტროსადგურის მიმართულებით და პოკროვსკოეს მახლობლად შტურმის მცდელობას, ბრძოლა გრძელდება, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ანგარიშშია აღნიშნული. მათივე ინფორმაციით, სლავიანსკის მიმართულებით ოკუპანტებმა განახორციელეს საარტილერიო დაბომბვა დუბრავნის, ჩეპილის, ადამოვკას, კარნაუხოვკას, ნიკოლსკის, კურულკას, ხრესტიშჩსა და მაზანოვკას მახლობლად. კრამატორსკის მიმართულებით მტერმა ტანკებიდან და არტილერიიდან ცეცხლი გახსნა დონეცკის, სერებრიანკას, ვერხნეკამენსკის, სპორნის და ივანოდარივკას მახლობლად. ამ უკანასკნელთან ავიადარტყმაც განხორციელდა. მოწინააღმდეგე ახორციელებს თავდასხმის ოპერაციებს ვერხნეკამენკა-ვერხნეკამენსკოეს მიმართულებით. ბრძოლა გრძელდება.

* * *

დნეპროპეტროვსკის ოლქის ქალაქ აპოსტოლოვზე რუსული ჯარის მიერ განხორციელებული დაბომბვის შემდეგ განადგურებულია სამი სკოლა, რომელთაგან ერთ-ერთი მეცნიერ ალექსანდრ ზალუჟნის სახელობის იყო. ამის შესახებ დნეპროპეტროვსკის ოლქში უკრაინის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობის დროებითმა შემსრულებელმა სერგეი კოვტონიუკმა განაცხადა. მისივე თქმით, ასევე დაზიანებულია საცხოვრებელი სახლები. წინასწარი მონაცემებით, 8 ადამიანი დაშავდა, 3 მათგანი ჰოსპიტალიზებულია, მათგან ორის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

* * *

ქვეყნის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფი უკრაინელები კარგად აცნობიერებენ, რა ხდება და ხედავენ პანიკას რუსეთის არმიაში, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტის აპარატის უფროსის მრჩეველმა მიხაილო პოდოლიაკმა. „რუსეთის არმიამ, როგორც კი ჩვენი HIMARS-ი გამოჩნდა, პანიკა დაიწყო. რატომ? თავდასხმის ქვეშაა ლოჯისტიკური ცენტრები და საბრძოლო მასალები, თავდასხმის ქვეშაა ტაქტიკური გადაწყვეტილების მიღების ცენტრები. ეს ყველაფერი იწვევს რუსი ოკუპანტების პანიკას. ამ ყველაფერს გრძნობენ ადგილზე მყოფი ადამიანები. მათ ესმით, რომ ყველაფერი სხვაგვარად იქნება“, - განმარტა პოდოლიაკმა. როგორც მან აღნიშნა, უკრაინამ უნდა დაიბრუნოს თავისი ტერიტორია.

მოამზადა
ნაირა შუტკარაძემ

ახალი ლიტერატურული პრემია - „ანა“

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ ახალი ლიტერატურული პრემია „ანა“ დააფუძნა. როგორც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა აღნიშნა, კონკურსი, რომელიც ქალებსა და ქალ მწერლებს ეძღვნება და ანა კალანდაძის სახელს უკავშირდება, ყოველწლიურად, ივლისში გამოცხადდება. მისი ძირითადი მიზანია ქალი ავტორების ხელშეწყობა, წარმოჩენა და წახალისება. ამასთან, ერთი ნომინაცია შეეხება როგორც ქალ, ისე მამაკაც ავტორებს და გაიცემა ნაწარმოებისთვის, რომელიც ქალის თემას ეძღვნება.

კონკურსში გამარჯვებულები გამოვლინდებიან შემდეგ ნომინაციებში: ქალი პროზაიკოსი - საუკეთესო პროზაული კრებულისთვის; ქალი პოეტი - საუკეთესო პოეტური კრებულისთვის; ქალი მთარგმნელი - საუკეთესო თარგმანისთვის; ქალის თემაზე შექმნილი საუკეთესო ნაწარმოების ავტორი.

თითოეულ ნომინაციაში პრემიის ოდენობა შეადგენს 5 000 ლარს. კონკურსის გამარჯვებულს ასევე გადაეცემა სიგელი. ერთი და იმავე პირის მიერ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვების შემთხვევაში, პრემია გაიცემა თითოეული ნომინაციისთვის.

ანკა ჩხიკვაძე

„დღეს საზოგადოების დაკვეთა არის ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე სრული ქართული პოლიტიკური სპექტრის კონსოლიდაცია“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

დასავლეთის პოლიტიკური ელიტა დიდი გულისყურით ადევნებს თვალს საქართველოში მიმდინარე პროცესებს. მათი მიზანია ქართული სახელმწიფოს გაძლიერება და ევროპული ყაიდის ქვეყნად გადაქცევა, რაც, მათივე თქმით, მიიღწევა არა მხოლოდ რეფორმების გატარებით, არამედ რეკომენდაციების გათვალისწინებითაც, რასაც თან უნდა ერთვოდეს პოლარიზებული პოლიტიკური გარემოს დასრულება, ასევე ოპოზიციასა და მმართველ გუნდს შორის ურთიერთშეთანხმება ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით. მის გარეშე, ევროპარლამენტართა აზრით, საქართველოს გაუჭირდება კანდიდატის სტატუსის მიღება. ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე გვესაუბრება საჯარო მმართველობის დოქტორი, ბსუ-ის ლექტორი **ბიბა შარტენაძე**.

- საქართველოს შიდაპოლიტიკურ საკითხებზე ვისაუბროთ, რა თავისებურებებით ხასიათდება ბოლოდროინდელი პერიოდი, თქვენ რა ასპექტებს გამოჰყოფდით?

- ბოლოდროინდელ მოვლენებზე საუბრის დროს გვერდს ვერ ავუვლით ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა უკრაინის სუვერენულ ტერიტორიაზე რუსეთის ომი და ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის და სრულიად საზოგადოების რეაქცია. ასევე, რა თქმა უნდა, კანდიდატის სტატუსის მინიჭების ირგვლივ განვითარებული პროცესები, რომელსაც ათობით ათასი ადამიანის ერთი იდეით გაერთიანება და რამდენიმე დიდი სამოქალაქო საპროტესტო აქცია მოჰყვა. შეგვიძლია გამოვყოთ დაკავებების სერია, რომელიც ქართული პოლიტიკის დღის წესრიგის ერთ-ერთ მდგენელად დამკვიდრდა.

- თქვენ მნიშვნელოვანი თემები ჩამოთვალეთ, განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი: ჩატარებულმა დემონსტრაციებმა რა ცხადყო და ამ მიმართებით ხელისუფლებამ რა დასკვნები უნდა გამოიტანოს?

- პირველი - მოსახლეობას აქვს საერთო იდეა, რომლის გარშემოც არა მხოლოდ სიტყვიერად, არამედ ფიზიკურადაც შეუძლია გაერთიანება და ეს არის სწორედ საქართველოს ევროპულ ოჯახში უალტერნატივო ინტეგრაცია; მეორე - ქართველი ხალხის მოთხოვნაა, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი იყოს სწორხაზოვანი, გასაგები და არ ტოვებდეს სივრცეს მანიპულაციებისა და ინტერპრეტაციებისთვის, ორაზროვანი გაგებისთვის. რაც შეეხება ხელისუფლების დასკვნებს, პასუხი მარტივია: ევროკომისიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების უპირობოდ შესრულება, საქართველოს ისტორიული მონაპოვრის შენარჩუნება ნებისმიერ ფასად და ქართველი ერის ერთიანობისა და სულისკვეთების დეკლარირებულად წარმოჩენა, რადგან სწორედ რომ ხელისუფლებაა ქართველი ხალხის ხმაც და სახელმწიფოს წარმომადგენელიც საგარეო ურთიერთობებში.

- ამას წინათ სამართალდამცავებმა სუს-ის ყოფილი მაღალჩინოსანი დააპატიმრეს. ოპოზიცია ამბობს, რომ ხელისუფლება აგონიაშია, მმართველი პარტია საპირისპიროს ამტკიცებს, რას ფიქრობთ?

- ვფიქრობ, რომ აღნიშნული საკითხი ნამდვილად არის რეზონანსული მხოლოდ იმიტომ, რომ საქმე ეხება უსაფრთხოების სამსახურის მაღალჩინოსნის დაკავებას, რომელსაც ედავებიან რამდენიმე მუხლით. თუმცა ამათგან გამოვყოფდი საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვის სავარაუდო ფაქტებს, რამაც ქართული შიდაპოლიტიკური პროცესები და დღის წესრიგი 180 გრადუსით შეცვალა. ბუნებრივია, ეს მოცემულობა ოპოზიციისთვის დამატებით მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ხელისუფლების კრიტიკისთვის, რამაც ხელისუფლება მოპასუხის პოზიციაში ჩააყენა, უფრო შესატყვისად - სიტუაციის გამამართლებლად.

- ექსპერტები აცხადებენ, რომ ამ ბოლო დროს დასავლეთის მხრიდან გახშირდა არსებული ხელისუფლებისადმი შენიშვნები, ეს რას მიანიშნებს?

- ფაქტი, რომ სწორედ ხელისუფლებაა პასუხისმგებელი ჩვენი ქვეყნის ინსტიტუციურ გაძლიერებაზე, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ხარისხზე, ანგარიშვალდებული და თანამშრომლობაზე აგებული მუნიციპალური სერვისების არსებობაზე, კონსტიტუციურად გარანტირებული უფლებების დაცვაზე და ქვეყნის საგარეო ვექტორზე, ცალსახა და ეჭვგარეშეა. ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების უგულებელყოფა, მცდელობების არარსებობა სწორედ რომ კითხვის ნიშნებს ბადებს არა მხოლოდ ჩვენს მოსახლეობაში, არამედ ჩვენს დასავლელ პარტნიორებშიც, რისი არაერთი მკაცრი და პირდაპირი განცხადების მონაწილენი გავხდით.

> *„ ხელისუფლებაა პასუხისმგებელი ჩვენი ქვეყნის ინსტიტუციურ გაძლიერებაზე, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ხარისხზე, ანგარიშვალდებული და თანამშრომლობაზე აგებული მუნიციპალური სერვისების არსებობაზე, კონსტიტუციურად გარანტირებული უფლებების დაცვაზე და ქვეყნის საგარეო ვექტორზე*

- ჩვენი ქვეყნის მომავალი დიდადაა დამოკიდებული დასავლეთის მხარდაჭერაზე. ამ მხრივ, ყოფილი მმართველი პარტიის წევრებისგან ანტიდასავლური გზავნილების გახმოვანება რას ცხადყოფს?

- მოკლედ გიპასუხებთ, ვემიჯნები ყოველგვარი არაჯანსაღი ანტიდასავლური განცხადებების პათოსს, რადგან ეს ავტომატურად არის რუსული, პროპაგანდისტული ნარატივის ცალსახა ილუსტრაცია.

- სხვათა შორის, ექსპერტები არც ოპოზიციას ინდობენ და აღნიშნავენ, რომ ოპოზიციური სპექტრი ცაიტნოტშია, რომ იგი სატელევიზიო ოპოზიციად გადაიქცა...

- ფაქტია, რომ ზოგადად, პარტიები უფრო ეფექტურად საარჩევნო პერიოდში აქტიურობენ, ეს აქტივობა გამოიხატება როგორც სატელევიზიო ეთერების გამოყენებაში, ასევე, მოსახლეობასთან გასვლით შეხვედრებში. სამწუხაროა, რომ ეს მოცემულობა მხოლოდ საარჩევნო პერიოდში გვაქვს და ექსპერტების მოსაზრებებიც აბსოლუტურად რეალურია.

- ოპოზიციის ნაწილი ვადამდელი არჩევნების ჩატარებას ითხოვს. თქვენი აზრით, რამდენად მზადაა ამჟამად ოპოზიცია არჩევნებში მნიშვნელოვანი შედეგის მისაღწევად?

- დღეს საზოგადოების დაკვეთა არის ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე სრული ქართული პოლიტიკური სპექტრის კონსოლიდაცია. ამ პროცესს კი, რბილად რომ ვთქვათ, ვადამდელი არჩევნები უფრო დააშორებს. რაც შეეხება შედეგებს, წინა არჩევნებთან შედარებით, ფაქტია, რომ ოპოზიციის მხარდამჭერთა რიცხვი გაიზარდა, თუმცა ერთი რომელიმე ოპოზიციური პარტიის ბალანსზე მათი მიკუთვნება ბუნდოვნად რჩება.

- რაკი ოპოზიცია გახსენეთ, მინდა გკითხოთ: რამდენად მოსალოდნელია რეალური მესამე ძალის გამოჩენა?

- ვფიქრობ, 2023 წლის შემოდგომა გარდამტეხი იქნება ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მესამე ძალის დაბადებისთვის, რომელიც იქნება რეალური მესამე ძალა, ალტერნატივა პირველი ორი პარტიისა და დაასრულებს პოლარიზებას ჩვენს ქვეყანაში.

- საგარეო საკითხსაც შევეხოთ - ევროკომისიამ საქართველოს კანდიდატის სტატუსის მისაღებად ვადა 2023 წლამდე დაუწესა. ამ შანსის გამოყენება რამდენადაა დამოკიდებული პოლიტიკური სპექტრის სახელმწიფოებრივ ქმედებებზე?

- პოლიტიკური პარტიების, ამათგან კი განსაკუთრებით სახელისუფლებო უნდა გამოვყოთ, ქმედებაზე იქნება დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მეორე შანსის გამოყენების ეფექტურობა. მივიღებთ კანდიდატის სტატუსს - ეს დამსახურება იქნება იმ სწორად გადადმული ნაბიჯებისა, რომელიც დაისახა ხელისუფლებამ, ვერ მივიღებთ - ცალსახად, ეს მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების პასუხისმგებლობა იქნება.

- დაბოლოს, შემოდგომა საქართველოსთვის, პოლიტიკური თვალსაზრისით, ყოველთვის რთული იყო. რას უნდა ველოდოთ და აქვე თანმდევი კითხვა: რომელი პრობლემების გადაწყვეტა მიგაჩნიათ თანამედროვე პირობებში ყველაზე საშურად?

- ჩვენი ქვეყანა დღეს დგას უდიდესი გამოწვევის წინაშე - გავხდებით თუ არა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყანა. სწორედ ამიტომ ხელისუფლებისგან, სრულიად პოლიტიკური სპექტრისგან უნდა ველოდოთ კონკრეტულ, შედეგზე ორიენტირებულ ნაბიჯებს, ნაცვლად მათი დაპირისპირებისა და გადაბრალების პოლიტიკისა, რომელიც უზარმაზარ დროსა და ენერგიას მოითხოვს.

ოპოზიცია ალტერნატიულ სამუშაო ფორმატებს ქმნის

ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის შემუშავებული 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულებისა და შესაბამისი კანონის პროექტების მომზადების მიზნით, ოპოზიცია პარალელურ პროცესს იწყებს და ალტერნატიული სამუშაო ფორმატების შექმნას გეგმავს.

აღნიშნული გადაწყვეტილების თაობაზე პარლამენტში არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი. „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ განაცხადა, რომ დაიდება ერთმანეთის ალტერნატიული საკანონმდებლო პაკეტები, რომელზე დაყრდნობითაც ევროპელებს ექნებათ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა, თუ ვინ გაითვალისწინა და ვინ - არა მათი რეკომენდაციები.

- სამოქალაქო სექტორთან კონკრეტულ სამუშაო პროცესზე შევჯერდით. 12-ვე საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული საკანონმდებლო პროექტი უნდა დაიდოს, რომელიც ევროპელების რეკომენდაციებთან სრულ შესაბამისობაში იქნება. ძალიან ცოტა დრო გვაქვს, გვჭირდება 24/7-ზე მუშაობა ძალიან ბევრ იურისტთან, ორგანიზაციასთან, პოლიტიკოსთან ერთად, რათა სექტემბრისთვის საქართველოს პარლამენტში ერთობლივად დავარეგისტრირეროთ კანონის პროექტების ფართო სპექტრი, რომლის მიღებაზეც დამოკიდებული იქნება ქვეყნისთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება. ორშაბათიდან პარლამენტში სამუშაო ჯგუფების სისტემატური შეხვედრები გაიმართება. კონკრეტული დროითა და ვადებით გვექნება ხელდაკაპიწებული მუშაობა იმისთვის, რომ დავდოთ კანონპროექტები, რომელთა მიღებაც საქართველოს კანდიდატის სტატუსს მოუტანს. ვაპირებთ დღე და ღამე მუშაობას, რათა ევროკავშირის მიერ მოცემული საშინაო დავალება შესრულდეს, - განაცხადა გიორგი ვაშაძემ შეხვედრის შემდეგ.

ია შველიძე

უცხოეთი

რუსეთის მთავრობამ არამეგობრული ქვეყნების სია გააფართოვა. რუსული მედიის ცნობით, სიას დაემატა საბერძნეთი, დანია, სლოვენია, ხორვატია და სლოვაკეთი. „მთავრობის მიერ დამტკიცებული სია არ არის საბოლოო და უცხო სახელმწიფოების მტრული ქმედებების გათვალისწინებით, რომელიც მიმართულია საზღვარგარეთ რუსეთის მისიების წინააღმდეგ, შესაძლოა გაფართოვდეს“, - ნათქვამია რუსეთის მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახურის განცხადებაში. დოკუმენტში მითითებულია, ასევე, რა რაოდენობის თანამშრომლების აყვანა შეუძლია თითოეული ამ სახელმწიფოს საელჩოებსა და საკონსულოებს რუსეთში.

* * *

ერაყმა ქურთისტანის ავტონომიურ რეგიონში განხორციელებულ დაბომბვაში, რასაც 9 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, თურქეთი დაადანაშაულა და ანკარიდან დროებით რწმუნებული გაიწვია. მომხდარს ერაყში საპროტესტო აქციები მოჰყვა. ქალაქ კარბალაში დემონსტრანტებმა თურქეთის დროშა დაწვეს. საპროტესტო აქციები გაიმართა ბაღდადსა და ნასირიაშიც. თურქეთი ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ დარტყმა ქურთისტანის მუშათა პარტიის ძალებმა განახორციელეს. „მთელმა მსოფლიომ იცის, რომ თურქეთი არასდროს ესხმის თავს მშვიდობიან მოქალაქეებს. თურქეთის შეიარაღებული ძალებისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მშვიდობიან მცხოვრებლებზე არანაირი თავდასხმა არ განგვიხორციელებია, - განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ. მისივე თქმით, თურქეთი მზადაა, მომხდართან დაკავშირებით ერაყის ხელისუფლებასთან ითანამშრომლოს.

* * *

ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო აცხადებს, რომ უკრაინაში ომი უნდა შეწყდეს ბირთვული ომის თავიდან ასაცილებლად. „დავასრულოთ ეს არეულობა, ოპერაცია და ომი უკრაინაში. მოდით, გავჩერდეთ და შემდეგ გავარკვიოთ, როგორ გავაგრძელოთ ცხოვრება. არ არის საჭირო უფრო შორს წასვლა, უფრო შორს ბირთვული ომის უფსკრულია“, - განაცხადა ლუკაშენკომ. მან ომის დაწყებასა და კონფლიქტის პროვოცირებაში დასავლეთი დაადანაშაულა. როგორც მან აღნიშნა, შედეგის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო, თუ მოსკოვი უსაფრთხოების იმ გარანტიებს მიიღებდა, რომელსაც დასავლეთის სახელმწიფოებისგან ითხოვდა. „რუსეთს რომ არ დაესწრო თქვენთვის, ნატოს წევრებო, თქვენ დაარტყამდით მას“, - დასძინა ლუკაშენკომ.

* * *

მას შემდეგ, რაც იტალიის პრემიერ-მინისტრი მარიო დრაგი გადადგა, ქვეყნის პრეზიდენტმა სერჯო მატარელამ პარლამენტი დაითხოვა. როგორც მან განაცხადა, ვადამდელი არჩევნები 70 დღის განმავლობაში უნდა ჩატარდეს. „პერიოდი, რომელსაც ჩვენ გავდივართ, არ იძლევა რაიმე პაუზას მთავრობის ქმედებებში, რომელიც საჭიროა ეკონომიკური და სოციალური კრიზისის და მზარდი ინფლაციის დასაძლევად“, - აღნიშნა პრეზიდენტმა.

მოამზადა
ია შველიძემ

დავით ვერულიძე: დასრულებულია მუშაობა ახალ პროექტებზე, მათ მოსახლეობა უახლოეს მომავალში იხილავს

ზიძრია დავლაძე 579 25 25 72

ქობულეთის ტურისტულად აქტიურ ზონაში სანაპირო ზოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება, ასევე, სხვადასხვა ქუჩაზე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მთავარ პრიორიტეტებად მიაჩნია ქობულეთის მერის პირველ მოადგილე ***დავით ვერულიძეს.*** *ახალგაზრდა საჯარო მოხელისთვის მუნიციპალიტეტის განსავითარებლად დაგეგმილი ყველა სიახლე სასიამოვნო გამოწვევაა. პროფესიით ეკონომისტი ამბობს, რომ წლებთან ერთად მიღებული გამოცდილება ნებისმიერი სირთულის სამუშაოს ხარისხიანად შესრულებაში ეხმარება, რაც ქალაქის იერსახეზეც აისახება. დავით ვერულიძე დღეს ჩვენი სტუმარია.*

- ბატონო დავით, რას ნიშნავს, იყო მერის პირველი მოადგილე?

- მუშაობდე შენი ქალაქის, შენი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა, განცდა, რომელიც მუდამ დადებითად გამყვება და ყველაზე კარგი მოსაგონარი წლები იქნება ჩემს ცხოვრებაში. გარდა ამისა, ის მდგომარეობა, როცა შეგიძლია შენს მუნიციპალიტეტს, შენს ხალხს ემსახურო და აკეთო კარგი საქმე მათთვის, ძალიან დადებითი და უმნიშვნელოვანესი მომენტია.

- რთულია თქვენზე დაკისრებული მოვალეობა?

- არ ვიქნები მართალი, თუ ვიტყვი, იოლია-მეთქი. ნეგატიური ტვირთი არ არის, პოზიტიურია, მაგრამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება გვიწევს ხელმძღვანელ პირებს და, ბუნებრივია, ეს დიდი პასუხისმგებლობაა.

- სამუშაო გამოცდილებიდან გამომდინარე, ფაქტს ან მოვლენას თუ გაიხსენებთ, რომელმაც გავლენა მოახდინა თქვენზე?

- მთლიანად ჩემმა განვლილმა გზამ და მიღებულმა გამოცდილებამ დიდი გავლენა მოახდინა ჩემი პიროვნების ფორმირებაზე და, ვფიქრობ, რომ დღეს ვინც ვარ, სწორედ ამის დამსახურებაა.

- გაქცევიხართ თუ არა პასუხისმგებლობას?

- ბუნებრივია, ყოფილა შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტილების მიღება საკმაოდ რთულია და პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ არასდროს მიმიღია ასეთი გადაწყვეტილება, რადგან დიდ სისუსტეში ჩავუთვლიდი თავს.

- რომ არა ეს თანამდებობა, საკუთარი თავი რა სფეროში წარმოგიდგენიათ?

- ალბათ, კერძო სტრუქტურაში, ისეთი მიმართულებით, რომლის პროფილიც განვითარებაზეა ორიენტირებული, ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებით წარმომიდგენია საკუთარი თავი.

- საკმაოდ ახალგაზრდა ასაკში მოგიწიათ საპასუხისმგებლო თანამდებობის დაკავება. ჯერ მერის მოადგილე იყავით, ოთხი წლის შემდეგ კი მერის პირველ მოადგილედ დაინიშნეთ. რას გრძნობდით მაშინ და რას გრძნობთ ახლა?

- როგორც უკვე აღვნიშნე, ძალიან დიდი პასუხისმგებლობა იყო. მერის მოადგილედ რომ დავინიშნე, საკმაოდ ახალგაზრდა ვიყავი და რთული იყო ამ ასაკში დიდ გამოწვევებთან შეჯახება, თუმცა უკან არასოდეს დამიხევია. საკუთარ თავზე საუბარი რთულია, მაგრამ თავის არიდება ახალი გამოწვევებისთვის ჩემი სტილი არ არის. წლებთან ერთად მოვიდა გამოცდილებაც, რაც, ბუნებრივია, მთავარია ნებისმიერი სირთულის საქმის უკეთ შესრულებისთვის.

- რომელია პროექტი, რომელსაც გაიხსენებთ წლების შემდეგ და იტყვით, რომ მასში დიდი წვლილი მიგიძღვით?

- ასეთი პროექტი ბევრია, მათ შორის არის მცირე პროექტებიც, განსაკუთრებით კი იმას გამოვყოფდი, რომელიც ჩვენი ქალაქისთვის მნიშვნელოვანია, თუნდაც მუნიციპალიტეტის სტიმულირებისთვის. ეს გახლავთ ქობულეთში სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა და ამ პროექტში თავიდან ბოლომდე ჩართული ვიყავი. ვფიქრობ, არცთუ პატარა წვლილი შევიტანე მასში. გარდა ამისა, აღვნიშნავ სანაპირო ზოლის გაგრძელების მეორე ეტაპს, რომელიც ახლა მიმდინარეობს და გუნდთან ერთად ვმუშაობ. გამოვყოფდი იმ პროექტებს, რომლებიც მზად არის განსახორციელებლად. ძალიან მალე მასშტაბური ღონისძიებები დაიწყება ქობულეთის მუნიციპალიტეტში და მოსახლეობა იხილავს ამ სიახლეს. ვისურვებდი, რომ წლების შემდეგ დავტოვო მშობლიურ ქალაქზე უზომოდ შეყვარებული ადამიანის, თავისი საქმის პროფესიონალის და კეთილსინდისიერი საჯარო მოხელის სახელი.

შეგახსენებთ: დავით ვერულიძე ქობულეთის მერის პირველი მოადგილის თანამდებობას 2021 წლიდან იკავებს. 2017 წლის ნოემბრიდან 2021 წლის ოქტომბრამდე ჯერ კიდევ ყოფილ მერ მირიან ქათამაძის მოადგილე იყო. 2015 წლიდან 2017 წლის ნოემბრამდე ხელმძღვანელობდა ქობულეთის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილებას. 2014-15 წლებში მუშაობდა ქობულეთის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის სპეციალისტად.

„ნდობა დიდი პასუხისმგებლობა და, შესაბამისად, მოტივაციაა“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მარინა ბარამიძე *ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედაში, პედაგოგების ოჯახში დაიბადა. ქედის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო, რომელიც სკოლამდელი პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მასწავლებლის, სკოლამდელი აღზრდის მეთოდისტის სპეციალობით დაამთავრა. გავლილი აქვს სემინარები და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, მუშაობდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, ერთიანი ეროვნული გამოცდების კურატორად. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილეა. მარინა ბარამიძე ჩვენი სტუმარია.*

- ქალბატონო მარინა, საიდან იღებს სათავეს ის დიდი ნდობა, რომელიც მმართველმა პარტიამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე გამოგიცხადათ?

- ბავშვობიდან მოყოლებული აქ ვარ, კარგად ვიცნობ მოსახლეობას, მის პრობლემებს, ხშირად მისი გადაჭრის გზებზეც მისაუბრია. ხალხთან ყოველდღიურმა კომუნიკაციამ, ცოდნამ და გამოცდილებამ განაპირობა, რომ მმართველი პარტიის ადგილობრივმა ლიდერებმა, პარტიის პოლიტსაბჭოსთან შეთანხმებით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ჩემი კანდიდატურა დაასახელეს, მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ მათგანს ნდობისა და თანადგომისთვის, რომელიც ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა და, შესაბამისად, მოტივაციაც დიდია.

- მე-8 თვეა, საკრებულოში საქმიანობთ. რა აქტივობებს გამოჰყოფდით?

- მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მივიღეთ ამ პერიოდში. რა თქმა უნდა, გამოვყოფ მიმდინარე წლის გაზრდილ ადგილობრივ ბიუჯეტს და სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ თუ ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომელიც მოსახლეობის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული. ჩვენი გუნდის წევრები თითოეულ თემში მერიის წარმომადგენლებთან ერთად, კარდაკარ დავდივართ, ვისმენთ მოსახლეობის პრობლემებს და მოთხოვნებს. შემდგომ საკრებულოსა და მერიის ერთობლივი მუშაობით ეს საკითხები მათ საკეთილდღეოდ გადაიჭრება.

- ოპოზიციონერი კოლეგების საქმიანობას როგორ აფასებთ?

- სამწუხაროდ, ისინი ჯანსაღ კრიტიკას თავს არიდებენ, მართლაც ბევრი რამ კეთდება მოსახლეობის საკეთილდღეოდ და ამას ვერ ხედავენ, სიცრუის ტირაჟირებით არიან დაკავებულნი, რაც გულსატკენია. მათ უნდა შეეძლოთ იმ პროექტების აღიარება, რომელიც განხორციელდა ჩვენს მუნიციპალიტეტში.

- უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე რა კომენტარს გააკეთებთ?

- სოლიდარობას და მხარდაჭერას ვუცხადებ რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ მებრძოლ უკრაინელ ხალხს. როგორც 2 შვილის დედა, ძალიან განვიცდი მიმდინარე პროცესებს, გულდასაწყვეტია, ამდენი უდანაშაულო ქალის, დედის, ბავშვის დაღუპვა. მინდა მალე დასრულდეს ეს ყველაფერი და მშვიდობამ დაისადგუროს. ჩვენ არაერთხელ გავხდით რუსული აგრესიის მსხვერპლი, რაც ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციით დამთავრდა. ქედელი ფრიდონ თურმანიძეც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვას შეეწირა, ისევე, როგორც არაერთი მისი თანამებრძოლი. ამ გმირი ვაჟკაცის სახელს ატარებს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა.

- რამდენად მისაღებია ზოგიერთის მოწოდება, რომ საქართველო რუსეთთან საომარ მოქმედებაში ჩაერთოს?

- თითოეულ ჩვენგანს გვახსოვს წარსულის მწარე გაკვეთილები. სხვა ჩვენ ტკივილს ნაკლებად გაიზიარებს. მმართველი პარტია სწორ პოზიციაზეა, ფარივით დგას მშვიდობის სადარაჯოზე.

- სკოლაში მოღვაწეობა უფრო რთულია თუ პოლიტიკურ სარბიელზე?

- ორივე საქმიანობას თავისი ხიბლი და სათანადო პასუხისმგებლობა აქვს. როცა ამომრჩეველი ნდობას გვიცხადებს, ორმაგი პასუხისმგებლობაა, ძალას, ენერგიას, ცოდნასა და ჩემს გამოცდილებას მაქსიმალურად გამოვიყენებ და ბოლომდე დავიხარჯები მათთვის.

- რა არის მთავარი, მოსწავლეს პედაგოგი რომ უყვარდეს?

- პედაგოგმა მოსწავლეები არ უნდა გამოარჩიოს, იგი ისე უნდა მიიღოს, როგორც საკუთარი შვილი.

- საყვარელ მასწავლებელს თუ დაასახელებთ?

- ცალკე რომელიმეს გამოყოფა გამიჭირდება, ყველა მასწავლებელი მიყვარდა. პროფესორ-მასწავლებლებიდან კი ილია კეჭეყმაძეს გამოვარჩევდი.

- ვისი კარნახით აირჩიეთ პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი?

- კარნახს ვერ დავარქმევ, ეს მშობლების რჩევა იყო.

- სურვილი, რომელიც ვერ აისრულეთ...

- მინდოდა მედიცინის მიმართულებით მესწავლა, მაგრამ რატომღაც გადავიფიქრე. წელს ჩემი შვილი აბიტურიენტია - სამედიცინო ფაკულტეტზე აბარებს, რამაც ძალიან გამახარა. მაქსიმალურად დავიხარჯები, რომ პროფესიულ წარმატებას მიაღწიოს.

- ქართველი მწერლებიდან ვინ გამოარჩევთ?

- გურამ დოჩანაშვილს, რომელიც ძალიან მიყვარს.

- რომელი მწერლის ან პოეტის სტუმრობას ისურვებდით ქედაში?

- როგორც მოგეხსენებათ, ქედას სტუმარ-მასპინძლობაში ბადალი არ აქვს, ამდენად, ნებისმიერი მწერალი და პოეტი ჩვენთვის სასურველი სტუმარია.

- რას ნიშნავს იყო „საპატიო ქედელი“?

- „საპატიო ქედელი“ ნიშნავს ქედის სიყვარულს, ერთგულებას და თანადგომას, რაც გამოიხატება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის განსაკუთრებული წვლილის შეტანაში.

- მშობლების როლს როგორ აფასებთ?

- დავიბადე და გავიზარდე პედაგოგების ოჯახში. მათი როლი შეუცვლელია და დიდია ჩემს ცხოვრებაში. ვამაყობ, რომ ვარ ასეთი მშობლების შვილი. ისინი მაძლევენ საფუძველს, რომ ვიყო ძლიერი და წარმატებული.

- როგორც ფსიქოლოგს, ხვალინდელი დღე როგორ გესახებათ?

- ეს იქნება ნათელი, ბედნიერი და წარმატებული.

რეპრესირებულთა ხსოვნის დღე აღნიშნეს

საქართველოში რეპრესირებულთა ხსოვნის დღედ 22 ივლისი 2002 წლიდან გამოცხადდა. 1937-1938 წლებში კომუნისტური რეჟიმის რეპრესიებმა აჭარაში 1050 ადამიანი შეიწირა. აქ დახვრეტილთა შორის კიდევ ერთ ნეშტს ამ დღეებში მიაკვლიეს, რომელიც გადასახლებაში დაღუპულად ითვლებოდა. ხელვაჩაურის ყოფილ სამხედრო ბაზაზე 30-იან წლებში დახვრეტილთა სამარხების შესწავლა დღემდე გრძელდება. ამ ეტაპზე ნაპოვნია 200-ზე მეტი ნეშტი.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეპრესირებულთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილ ტრადიციულ ღონისძიებას ხელისუფლების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან და რეპრესირებულთა შთამომავლებთან ერთად, მაღამლთიანი აჭარისა და ხელვაჩაურის მაჟორიტარი დეპუტატი აჭარის უმაღლეს საბჭოში ფრიდონ ფუტკარაძე, პარლამენტარი ანზორ ბოლქვაძე დაესწრნენ.

სტუმრებმა ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი, რომელიც ერთადერთია საქართველოში, ყვავილებითა და გვირგვინებით შეამკეს.

ანკა ჩხიკვაძე

„სახლი არის ჩემი სამყარო – მოხატული კედლებით, განათებებით და თავისებური სიმყუდროვით“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ია თედორაძე ბათუმში დაიბადა და გაიზარდა. აქვე დაამთავრა პროფილური გიმნაზია ფიზიკა-მათემატიკის განხრით. ბაკალავრის ხარისხი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში - საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, მაგისტრის ხარისხი კი თბილისში - იგივე პროფილით მიიღო. ია ამჟამად ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის გაყიდვების და მარკეტინგის დეპარტამენტში მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ სულ სხვა სფეროშია, ბოლო პერიოდში საიუველირო ეპოქსიდისგან ხელნაკეთი ნივთებისა და სამკაულების დამზადება დაიწყო. სოციალურ ქსელში იას ნამუშევრებმა ხალხის ყურადღება მალევე მიიქცია, თუმცა, როგორც თავად გვითხრა, ეს საქმიანობა მხოლოდ მისი ჰობია და იგი ყოველდღიური სამსახურებრივი სტრესის დაძლევაში ეხმარება

- ია, თქვენზე და თქვენს ოჯახზე გვიამბეთ, როგორი ბავშვი იყავით, რა გაინტერესებდათ?

- საკმაოდ ცელქი ბავშვი ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ სწავლა მიყვარდა და კარგად ვსწავლობდი, ხშირად მიწევდა დირექტორის კაბინეტში დგომა. ბანალური იქნება ალბათ, მაგრამ მაინც აღვნიშნავ, რომ ძალიან ბედნიერი ბავშვობა მქონდა. ეზო, სადაც ვიზრდებოდი, თანატოლებით იყო სავსე. მე 90-იანების ბავშვი ვარ, ჩვენს ბავშვობაში იყო ეზო, ბურთი, დაჭერობანა, დამალობანა, საღამოს კოცონი... არ იყო მობილური, ინტერნეტი, შუქიც კი. მაინტერესებდა ყველაფერი. ეს თვისება ახლაც მაქვს - ყველაფერი მაინტერესებს.

- რომელ პროფესიას დაეუფლეთ და რატომ?

- რა თქმა უნდა, ბებიას უნდოდა ექიმი ვყოფილიყავი, მაგრამ ვერ გავუმართლე იმედები და შევეცადე, პროფესია ინტერესებიდან გამომდინარე შემერჩია. სკოლის დამთავრებისთანავე ჩავბარე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე, მაგრამ პროფესიით არასოდეს მიმუშავია. მე-11 კლასელი ბავშვის გადასახედიდან ეს პროფესია ნიშნავდა ბევრ მოგზაურობას. არ ვიცი, ასე რატომ გადავწყვიტე მაშინ, ალბათ სიტყვა „საერთაშორისომ“ მომხიბლა. როცა ვაბარებდი, პოპულარული იყო იურიდიული და ეკონომიკური, მეც არ ჩამოვრჩი „მოდის ტენდენციებს“.

- სტუდენტობის პერიოდზე მოგვიყევით...

- სტანდარტული სტუდენტობა მქონდა. როცა საკუთარ ქალაქში აბარებ, სტუდენტობის ხიბლს ვერ ხვდები. სკოლისგან დიდი განსხვავება არ არის, უბრალოდ, ცოტათი დიდი ხარ, კლასში კი უფრო ბევრი ბავშვია და ყველა საგანში გამოცდა გაქვს.

- ამჟამად რას საქმიანობთ?

- ვმუშაობ სამშენებლო კომპანია „ორბი ჯგუფში“ გაყიდვების და მერკეტინგის დეპარტამენტში, ანგარიშგების განყოფილების უფროსად. ჯერ კიდევ მაგისტრატურის მეორე კურსზე ვსწავლობდი, „პროკრედიტ ბანკში“ რომ დავიწყე მუშაობა. პირველი სამსახური, პირველი თანამშრომლები... საოცარი პერიოდი იყო. ბევრ მათგანთან დღემდე ვმეგობრობ. შედეგ იყო „საქართველოს ბანკი“ და ბოლოს „ორბი“, სადაც 11 წელი შემოვრჩი.

- როდის დაიწყეთ ხელნაკეთობების შექმნა და რა იყო თქვენი შთაგონების წყარო?

- მიუხედავად იმისა, რომ ყველა ჩემი სამსახური ძალიან მიყვარდა და სიამოვნებას მანიჭებდა, ისევე როგორც ყველა პროფესიას, ჩემს სამსახურსაც ჰქონდა სტრესი - სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა სახის... და მუდმივად ვიყავი რაღაც ისეთის ძიებაში, სადაც დავისვენებდი. ბავშვობაში ბებია ქსოვას მასწავლიდა და, რა თქმა უნდა, პირველი, რაც დავიწყე, ქსოვა იყო. ვქსოვდი ძირითადად ჩემთვის, თუმცა საბოლოო შედეგის მიღებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, რაც რა თქმა უნდა, არასოდეს მქონდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩემს ცხოვრებაში გაჩნდა შვილი (კონსტანტინე). პერიოდულად ვუბრუნდებოდი ქსოვას. იყო პერიოდი, როცა საპნის ბაზაზე ხელნაკეთ საპონს ვამზადებდი, მეგობართან ერთად მაისურებზე ვხატავდი და რამდენიმე თვის წინ აღმოვაჩინე საიუველირო ეპოქსიდიც. სრულიად შემთხვევით, სახლში მაგიდის განახლება მინდოდა და ინტერნეტში ვეძებდი სხვადასხვა საშუალებას, რა შემეძლო გამეკეთებინა. ასე გადავაწყდი ინფორმაციას საიუველირო ეპოქსიდზე.

- როგორც ვიცით, სამკაულებსაც ამზადებთ, კიდევ რა სახის ხელნაკეთობები გაქვთ?

- სამაჯურების იდეა შემთხვევით მოვიდა. ძალიან მიყვარს ხელნაკეთი ნივთები და, რა თქმა უნდა, საკუთარი თავის გამოცდაც. როცა საინტერესო ხელნაკეთ ნივთს წავაწყდები, ვფიქრობ, რამდენად შემიძლია მეც იგივეს გაკეთება. იგივე მოხდა სამაჯურებზეც, მინდოდა ფეხის სამაჯურის შეძენა და როცა რამდენიმე გვერდი გადავათვალიერე, ვიფიქრე, ვცდი, იქნებ გამოვიდეს-მეთქი. ჯერ ჩემთვის გავაკეთე, შემდეგ - მეგობრისთვის და ჩამითრია. სამაჯურებსაც არ სჭირდება დიდი დრო, ისევე როგორც ეპოქსიდს. თუმცა სამაჯურები ჯერ ცოტა მაქვს.

- როგორია ე.წ. ბრელოკების დამზადების ტექნოლოგია, რომელ მასალას იყენებთ, რითი აფორმებთ და რა პროცედურებია საჭირო საბოლოო შედეგამდე?

- „ბრელოკები“ მზადდება საიუველირო ეპოქსიდისგან. თავდაპირველად, მაგიდის მოხატვა ვერ გავბედე. ვიყიდე ეპოქსიდი, დავდგი მაგიდაზე და რამდენიმე დღე, როგორც კი თავისუფალი დრო გამომიჩნდებოდა, იუთუბ არხს „ვეჯექი“. ვნახე უამრავი ვიდეო, წავიკითხე ძალიან ბევრი მასალა. საპონთან მუშაობის შემდეგ სახლში შემორჩენილი მქონდა სილიკონის ფორმები და საპნის საღებავები. პირველი ნივთები აღნიშნულ ფორმებში ჩამოვასხი. მიუხედავად იმისა, რომ არ მქონდა სპეციალური ფორმა და საღებავი, ნივთები საკმაოდ კარგი გამოვიდა. პროცესი კი ისეთი სასიამოვნო აღმოჩნდა, რომ სპეციალური ფორმების და საღებავების შეძენაც დავიწყე. საიუველირო ეპოქსიდი შედგება ორი კომპონენტისგან. აღნიშნული კომპონენტების შერევის შემდეგ ეპოქსიდთან მუშაობის დრო შეზღუდულია - 30 წუთიდან 1 საათამდე (გააჩნია რომელი ფირმის ეპოქსიდით ვმუშაობ). აღნიშნულ დროში ეპოქსიდი იწყებს გამყარებას და შესაბამისად, რთული ხდება ხატვის ან ჩამოსხმის პროცესი. ნივთის ჩამოსხმის შემდეგ 24 საათი სჭირდება შრობას. არ სჭირდება სპეციალური დანადგარი, ოთახის ტემპერატურაზე შრება. გამოშრობის შემდეგ იწყება ნივთის აწყობა: სპეციალური საიუველირო ბურღით ნასვრეტების გაკეთება, ჯაჭვის და საკიდის მიმაგრება და ა.შ. ნივთის დამზადებას 1 დღე სჭირდება.

- რამდენად რთული პროცესია? არის იმის ალბათობა, რომ „ბრელოკი“ დაზიანდეს, ან არ გამოვიდეს?

- პროცესი საკმაოდ მარტივია, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია იმუშაოს ეპოქსიდთან. მთავარი - ფანტაზია და სურვილია. იმის გათვალისწინებით, რომ ეპოქსიდი არის წებო (ფისი) - აქვს სუნი, ამიტომ აუცილებელია დავიცვათ სასუნთქი გზები (განსაკუთრებით თუ დიდ რაოდენობასთან ვმუშაობთ). გარდა ამისა, კანის დასაცავად უნდა გამოვიყენოთ

ხელთათმანი და, რა თქმა უნდა, ისეთი ტანსაცმელი, რომლის გაფუჭება გულს არ გვატკენს. თუ „ბრელოკის“ დამზადება ხდება ყალიბში, ალბათობა იმის, რომ არ გამოვა, ძალიან ცოტაა. შეიძლება, არ დაჯდეს ის ფერი, რომელსაც ველოდით, ან გამომშრალმა ყვავილებმა ადგილი გადაინაცვლონ ბრელოკში, მაგრამ ეს უმნიშვნელო ცვლილებებია. რთულია, როცა ვმუშაობ საათის ან სერვირების დაფების მოხატვაზე. ეს ის შემთხვევაა, როცა არასოდეს იცი, საბოლოო ნახატი რა სახის იქნება. არსებობს ჩანაფიქრი ნახატის, ფერების, მაგრამ შრობის პროცესში არასოდეს იცი, რა შედეგი დადგება და საბოლოოდ როგორ „მოიქცევა“ ეპოქსიდი. საბოლოო გაშრობამდე ნახატი შეიძლება რამდენჯერმე შეიცვალოს, რაც ძალიან საინტერესო პროცესია.

- როგორ გარემოში იქმნება თქვენი ნამუშევრები?

- ნამუშევრები იქმნება სახლში. ჩემთვის სახლი არის ჩემი სამყარო, მოხატული კედლებით, განათებებით და თავისებური სიმყუდროვით. ყველაფერი, რაც ჩემს სახლშია, ჩემი და ჩემი მეგობრების გაკეთებულია. შესაბამისად, ეს არის ჩემი შთაგონების წყაროც და ჩემი სიმშვიდეც. ეპოქსიდს არ სჭირდება სპეციალური სივრცე, მთავარია ოთახი, სადაც მუშაობ, ნიავდებოდეს. იმ კუთხეში, სადაც ეპოქსიდზე ვმუშაობ, არის ბევრი სურათი (ოჯახის წევრების), წიგნები და ფერები.

- ალბათ, სამუშაო პროცესი დიდ სიამოვნებას განიჭებთ, როგორც ამბობენ, მსგავსი საქმიანობა ერთგვარი თერაპიაა...

- ეპოქსიდთან მუშაობის დრო შეზღუდულია. კონკრეტული ნივთის დამზადების პროცესია შეზღუდული, შესაბამისად, ნივთზე მუშაობა იწყება სამუშაო მაგიდასთან მისვლამდე და კომპონენტის შერევამდე ბევრად ადრე, ანუ - გონებაში. არსებობს ნივთები, რომელთა დამზადება ყვავილის დანახვიდან იწყება. როცა ქუჩაში ლამაზ ყვავილს დავინახავ, აუცილებლად სახლში მიმაქვს. გამოშრობის პროცესს დაახლოებით 1 კვირა სჭირდება და მთელი ეს კვირა, მოლოდინის დროს, გონებაში ის ნივთი იქმნება, რომელიც უნდა დამზადდეს. ჩემთვის ეს თერაპიაა. იმ მომენტში, როცა ვმუშაობ ეპოქსიდთან, არაფერზე ვფიქრობ - არსებობს მხოლოდ ფერები, ყვავილები, შენი ფანტაზია და ნივთი.

- კომერციული თვალსაზრისით, ბრენდის შექმნაზე არ გიფიქრიათ?

- არ მქონდა გეგმაში ბრენდის შექმნა, ეს იყო და არის ჩემთვის დამშვიდება - ჰობი, რუტინისგან და ყოველდღიურობისგან თავის დაღწევა. თუმცა მას შემდეგ, რაც უამრავი „ბრელოკი“ დავამზადე, ვაჩუქე ყველას და ისევ დამიგროვდა გარკვეული რაოდენობა, გადავწყვიტე, განმეთავსებინა ფეისბუქგვერდზე. ეპოქსიდი საკმაოდ მაღალბიუჯეტური ჰობია.

- სოციალურ ქსელში, ფეისბუქგვერდზე განთავსებული ინტიმური ხასიათის „ბრელოკები“ ხშირად კრიტიკის საგანია, როგორ შეხვდით ამ ყველაფერს?

- რა თქმა უნდა, იუმორით. როცა საკუთარი ნამუშევარი ფართო საზოგადოებაში გამოგაქვს, მზად ხარ კრიტიკისთვის. ეს კარგიცაა, კრიტიკა გაძლევს საშუალებას, გაიზარდო, დაიხვეწო. მაგრამ როდესაც გამოგაქვს ინტიმური ხასიათის „ბრელოკი“, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო და ნებისმიერ რეპლიკას თუ კომენტარს მხოლოდ და მხოლოდ იუმორით უნდა მიუდგე. აღნიშნული პოსტის კომენტარებში ყველა პასუხი იყო მაქსიმალურად ლოიალური, ნაფიქრი და გააზრებული, თუმცა შევეცადე, იუმორით გაზავებულიც ყოფილიყო, რათა არ გამოეწვია აგრესია. ვთვლი, რომ გამომივიდა.

- ელოდით თუ არა ხალხის ასეთ რეაქციას?

- რა თქმა უნდა, მოლოდინი მქონდა, მეტსაც გეტყვით, უფრო მძაფრ და აგრესიულ კრიტიკას ველოდი. იყო რამდენიმე შეურაცხმყოფელი კომენტარი, რომელიც მიმართული იყო არა გვერდის, არამედ სხვა კომენტატორების ავტორებისკენ. აღნიშნული კომენტარები, რა თქმა უნდა, წაიშალა გვერდიდან.

- ყველაზე მეტად რომელ ნამუშევრებზეა მოთხოვნა?

- მიუხედავად კრიტიკისა, ყველაზე მოთხოვნადი მაინც ინტიმური ხასიათის „ბრელოკებია“.

- სამომავლოდ რას გეგმავთ?

- გრანდიოზული გეგმები ჯერ არ მაქვს. ეპოქსიდის შესაძლებლობები ამოუწურავია, შესაძლებელია უამრავი რამის დამზადება - „ბრელოკის“, საყოფაცხოვრებო ნივთების, ავეჯის, იატაკებსაც კი ამზადებენ. ნელ-ნელა მივყვები დინებას, ვნახოთ, სად წამიყვანს ჩემი ფანტაზია. მხოლოდ ამაზე ვარ დამოკიდებული.

ჯემალ შონია: სიახლე ის მომავალია, რომელსაც აწმყოში ვეზიარებით

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ჯემალ შონია - პოეტი, გამორჩეული უზადო სულიერი თვისებებით, საინტერესო პოეზიითა და პუბლიცისტიკით, გულწრფელობით, მოქალაქეობრივი, პატრიოტული პოზიციით კი, როგორც საზოგადო მოღვაწე, წარსულშიც და ახლაც კვალს აღბეჭდავს - ეროვნული მოძრაობის აქტიური წარმომადგენლის ხელწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზეა დაფიქსირებული.

ბატონი ჯემალი დღეს ჩვენი სტუმარია.

- თქვენ როგორც პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, ბევრი გიცნობთ. მოდით, შეავსეთ თქვენი „სივი“...

- ჩემს ცხოვრებაზე იმას ვიტყვი, რომ ხელი მაქვს მოწერილი 1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე და ეს მიმაჩნია ყველაზე მნიშვნელოვნად. ჩემი შემდგომი ყველა ნაბიჯი იქითკენაა მიმართული, რომ იმ ხელმოწერილს, საკუთარ მრწამსს არ ვუღალატო. რაც შეეხება პოეზიას, მირჩევნია, ჩუმად, უხმაუროდ მივაწოდო მკითხველს ის, რაც მეწერება. არავითარი პრეტენზია არ გამაჩნია „სახელსა და დიდებაზე“, რადგან ადამიანური სურვილები კი არა, დრო არის ყველაფრის შემფასებელი და ადგილის მიმჩენელი.

- აფხაზეთი - გაუნელებელი ტკივილი თქვენი და მოგონება, მუდამ თან რომ დაგდევთ...

- აფხაზეთი, სამაჩაბლო ყველა ქართველისთვის დიდი ტკივილი უნდა იყოს. დიახ, უნდა იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ არის. ბევრმა ეს ტკივილი თავიდანვე ვერ გაითავისა, ბევრს თანდათან გაუქრა და სულ სხვა პრობლემაზეა გადართული - უფრო მომხმარებლურზე, პირადზე, რომელსაც საერთო სატკივრად ფუთავენ, მათ შორის ხელისუფალნიც... ასეთები ლოიალურები არიან ოკუპანტი ქვეყნის, რუსეთის შოვინისტური იმპერიის მიმართ. აფხაზური სეპარატიზმიც რუსული დამპყრობლური იდეოლოგიის ნაშიერია, სწორედ რუსი შოვინისტები არიან სეპარატიზმის გამღვივებლები და არა აფსუები.

- დამოუკიდებლობის აქტზე ხელს რომ აწერდით, ის მომენტი გააცოცხლეთ.

- დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელს რომ ვაწერდით, ცრემლებს ვერ ვიკავებდი, მაგრამ არა საერთო სიხარულის გამო, არამედ იმიტომ, რომ ჩემი 17 წლის ვაჟიშვილი ვერ მოესწრო სამშობლოს თავისუფლებას. ეს მახსოვს იმ დღიდან და კიდევ... სიტყვები დარბაზში და უბედნიერესი ქართველები - რუსთაველზე.

იხ. მე-7 გვ.

ეთერ დეკანაძის საიუბილეო საღამო - ხულოს თეატრში

ცნობილ საჭარო მოხელეს, ხულოელი ახალგაზრდების წინამძღოლს, ამჟამად საქართველოს საპატრიარქოს ხულოს აბუსერისძე ტბელის სახელობის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ეთერ დეკანაძეს ხულოს სახელმწიფო დრამატულ თეატრში საიუბილეო საღამო მოუწყვეს

მისი თანამედროვენი, საზოგადოების წარმომადგენლები, მოსწავლე ახალგაზრდები შეიკრიბნენ თეატრში. იუბილარს მიესალმნენ ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები ფრიდონ ფუტკარაძე, ფატი ხალვაში, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი დავით თედორაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, მისი თანამედროვეები დარია თურმანიძე, გულნარა ბასილაძე, ჩიტო ომერაძე, იზოლდა სურმანიძე, სოროპტიმისტ ქალთა ბათუმის კლუბის პრეზიდენტი მაია სურმანიძე (მანვე წაიკითხა ნათელა დუმბაძის მისალოცი ბარათი), საქართველოს საპატრიარქოს ხულოს სკოლის პედაგოგი ლია შაინიძე, პოეტები ცისანა ანთაძე, გულიკო გაბაიძე, ჟურნალისტი ოთარ ცინარიძე.

ხულოს რაიონის ხელმძღვანელ სტრუქტურებში წლები ერთად გააატარეს ეთერ დეკანაძემ და თამაზ ტუნაძემ. საღამოს წამყვანმა, პოეტმა ნანა შაინიძემ თამაზ ტუნაძეს სცენაზე მოსალოცად უხმო. იგი ეთერს ეამბორა, მიკროფონთან მისულს გული აუჩუყდა და სიტყვის უთქმელად დატოვა სცენა, რასაც დარბაზი ტაშით შეხვდა.

საღამო მუსიკალური ნომრებით გაალამაზა ხულოს კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა ანსამბლ «ციცინათელას» ხელმძღვანელმა მანანა მელაძემ.

იუბილარს ექსპრომტად ლექსი მიუძღვნა საღამოს წამყვანმა ნანა შაინიძემ.

- შრომით საქმიანობაში ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ჩავერთე. იყო სამსახურებრივი ცხოვრებისეული წინსვლის წლები, ჩავარდნებიც. ქვეყნისა და ერის წინაშე ვალმოხდილი მოვდივარ. დედებს ქვეყანაში პირველად ჩვენ მოვეფერეთ, სახალხო დღესასწაული «ტბელობა» წამოვიწყეთ. ამაგის დამფასებელიც მრავლად მყავდა და... სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა. დღეს მშობლიური ხულო, ჩემი ღვაწლის დამფასებლები მომეფერნენ. მადლობა ყველას, «ჩემი საქართველო აქ არის», - თქვა იუბილარმა საღამოს დასასრულ.

ადგილობრივი ბიუჯეტი გაიზარდა

გაიმართა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

განიხილეს დადგენილების პროექტი, რომლის თანახმადაც შუახევის მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტში ცვლილებები შევიდა - იგი 500 000 ლარით გაიზარდა და 17 724 000 ლარი შეადგინა. ბიუჯეტის ზრდა განპირობებულია აჭარის კაპიტალური ტრანსფერის ზრდით სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებისთვის.

გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილია საუბნო გზების რეკონსტრუქცია, პირუტყვის საზაფხულო საძოვრებზე შიდა და გარე ელექტროსისტემების მოწყობა, სარწყავი არხების, არსებული მოსაცდელების, ფანჩატურებისა და მემორიალების რეაბილიტაცია, ხაბელაშვილები-ხიჭაურის წყალსადენის მშენებლობა, ტურისტული საპიკნიკე ადგილების მოწყობა, დაბაში, რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. წელს დაიწყება სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების“ შენობის მშენებლობა.

შიდა ცვლილებები განხორციელდა მუნიციპალიტეტში მოქმედ ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებში, რომლის თანახმადაც გაიზარდა დაფინანსება დიალიზისა და სპეციფიკური სამკურნალო კვების პროდუქტების შეძენის ფინანსური დახმარების მიზნობრივ პროგრამებზე.

სხდომაზე მოსაზრებები გამოთქვეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს წევრებმა ზაზა დავითაძემ, ზვიად დიასამიძემ.

წარმოდგენილ პროექტს დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს.

ექსპედიცია დასრულდა

დასრულდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენალიტერატურის და ისტორიის სპეციალობის სტუდენტთა ეთნოგრაფიული ექსპედიცია „ხიხაძირი 2022“, რომელიც ცნობილ ქართველოლოგ ტარიელ ფუტკარაძეს მიეძღვნა

სტუდენტებმა ეთნოგრაფიული მასალები შეაგროვეს ხიხაძირში, სკვანაში, ბაკოში, მთისუბანში, კალოთაში, ზედა და ქვედა თხილვანაში. ერთი დღე მოანდომეს ისტორიული ხიხანის ციხის დალაშქვრას. ექსპედიციას ხელმძღვანელობდნენ პროფესორები დავით შავიანიძე (ეთნოლოგი), ეკა დადიანი (ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი), ლუიზა ხაჭაპურიძე (ენათმეცნიერი).

ექსპედიციის მიზანი იყო ქართველთა ეთნიკური ისტორიის, მატერიალური და სულიერი კულტურის, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების ამსახველი მასალების მოგროვება, სტუდენტებში ქართველური მენტალობის, ეთნოფსიქოლოგიის შენარჩუნება-განვითარების, ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობისადმი ინტერესის გაღრმავების, მოტივაციის და მომავალში კვლევითი (როგორც სტუდენტური, ასევე სამეცნიერო) მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით. ეთნოგრაფიულ ექსპედიციას მიეძღვნება სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ჩატარდება შემოდგომაზე.

კომენტარი დავით შავიანიძეს ვთხოვეთ:

- სხალთაში მოვილოცეთ. პატრიარქის კურთხევით რესტავრირებულ უდიდეს მონასტერში ვთხოვეთ უფალს საქართველოს შეწევნა. ასევე, მოვილოცეთ ხულოს ცენტრში ახლად აგებულ წმინდა ანდრია პირველწოდებულის ტაძარში. მარეთის ხეობაში, საფუტკრეთში, პროფესორის, ქართველოლოგ ტარიელ ფუტკარაძის სახლი ვნახეთ. მის კედლებზე გამოხატულმა სიუჟეტებმა „ვეფხისტყაოსნიდან“ კიდევ ერთხელ გაგვატარა იმ გზაზე, რომელზეც უვლია ქართულის ბურჯ აჭარელს. მეგზურობა ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტების მერებმა ვახტანგ ბერიძემ და ომარ ტაკიძემ, პარლამენტარმა ანზორ ბოლქვაძემ, ტარიელის ახლობლებმა გაგვიწიეს, ხიხაძირში კი კეთილ მასპინძლობას გურამ და არჩილ ხალვაშები გვიწევდნენ. ამ ეთნოგრაფიული ექსპედიციით უკეთ მივხვდით, თუ ვინ იყო და ვინ არის ქართველი. მადლობა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს. ეთნოგრაფიულ ექსპედიციას ეწვია, მისი მიმდინარეობა შეამოწმა, გაგვამხნევა და წარმატებები გვისურვა ჩვენი უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე შალვა კირთაძემ, - გვითხრა მან.

მერისი-ნამონასტრევის გზაზე

ქედა-მერისის საავტომობილო გზა პირველი იყო, სადაც რამდენიმე წლის წინ ბეტონის საფარი დაიგო. ნამონასტრევი მერისის ხეობის ბოლო დასახლებაა. ისტორიულ სოფელს კიდევ რამდენიმე კომლი შემორჩა

ამ სოფელზე გაივლის მთა ღომა-ლაშეზე მისასვლელი საავტომობილო გზა, მას სამეურნეო და ტურისტული დანიშნულებაც აქვს. ქედის მუნიციპალიტეტში მორიგი ტურისტული მნიშვნელობის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. მათ შორისაა მერისი-ნამონასტრევის გზაც. აქ 2,1 კილომეტრზე ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგება. პროექტის მიხედვით, აშენდება გაბიონი და ბეტონის კედლები, სანიაღვრე არხები, მილები და ზღუდარები. გაბიონისა და საყრდენი კედლების მშენებლობა უკვე დაწყებულია. რეაბილიტირებული გზით ადგილობრივი მოსახლეობის გარდა ტურისტები ისარგებლებენ. სამუშაოების დასრულება ოქტომბერში იგეგმება. მიმდინარე სამუშაოებს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსი მამუკა თურმანიძე, ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე და დეპარტამენტის წარმომადგენლები გაეცნენ.

ხსოვნის ტურნირი



ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის ზებურ ავალიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საუნივერსიტეტო საჭადრაკო ტურნირი „ზებურ ავალიანის თასი - 2022“ გაიმართა

ასპარეზობა 7 ტურად, შვეიცარიული სისტემით წარიმართა და მასში 50-მდე სტუდენტი, პროფესორ-მასწავლებელი და ნორჩი მოჭადრაკე ასპარეზობდა.

ტურნირზე პირველ ადგილი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტ თენგიზ დიდმანიძეს ერგო, მეორე ადგილი - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტ თედო ბოლქვაძეს, ხოლო მესამე ადგილზე ომარ სირაბიძე გავიდა.

ნომინაციაში „საუკეთესო მოჭადრაკე სტუდენტი“ კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა ოლეგ ირემაძემ გაიმარჯვა, „საუკეთესო მოჭადრაკე ბავშვი“ კი კესარია მგელაძე გახდა.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

„ხელოვნება ადამიანს უნდა ეხმარებოდეს სილამაზის დანახვაში, აღქმაში ან, უბრალოდ, იმაში, რომ პოზიტივი მიიღოს“

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

„სამყარო თავისუფალია მათთვის, ვინც შინაგანად თავისუფალია და არ აქვს მნიშვნელობა, ამერიკაში ცხოვრობ თუ საქართველოში“ - ეს ამერიკაში მცხოვრები ბათუმელი მხატვრისა და დიზაინერის ***ცირა ახობაძის*** *სიტყვებია. იგი 2001 წლიდან საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია და მისი ნამუშევრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არაერთ კერძო კოლექციაშია განთავსებული. დღეს ამერიკაში ცხოვრობს და ერთდროულად ბევრი მიმართულებით მუშაობს: ქმნის ტანსაცმლის ორიგინალურ მოდელებს, ამზადებს ულამაზეს სამკაულებს, გატაცებულია მხატვრული ფოტოგრაფიით და ინტერიერის დიზაინით. ცირა ახობაძე ჩვენი გაზეთის სტუმარია და საკუთარ ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გვესაუბრება.*

- ქალბატონო ცირა, სანამ ამერიკაში ჩახვიდოდით, რა გზა გაიარეთ?

- ახალგაზრდული წლები, სტუდენტობა, შემდგომ სასიამოვნო და საინტერესო სამსახური, გულითადი მეგობრები და კოლეგები, საერთო პრობლემებით გამოწვეული სოლიდარობა ადამიანებს შორის - ეს ყველაფერი არის ის, რისი მოგონებაც დღესაც სითბოთი მივსებს გულს და რაც ჩემს პალიტრაზე ნათელი ფერების სიმრავლით მყღავნდება. თუმცა, მერე, 90-იანი წლების პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ქვეყნის მოსახლეობის სიდუხჭირემ მრავალ ადამიანს გაუჩინა უპერსპექტივობის განცდა. მიუხედავად სირთულეებისა, ის პერიოდი მაინც საუკეთესო წლებად მიმაჩნია. მონატრება გავიწყებს ძველ პრობლემებს და მხოლოდ კარგი გახსოვს.

- როგორი იყო ემიგრაციის პირველი პერიოდი?

- ამერიკის თავისუფალი სამყარო თბილი და ალერსიანია ბედის ნებიერების მიმართ, მაგრამ ამავე დროს, საკმაოდ მკაცრია, როდესაც ცდილობ საკუთარი შრომითა და ოფლით გაიკვალო გზა. ამ გზაზე უამრავი დაბრკოლება გხვდება და მხოლოდ ძალიან მტკიცე ნებისყოფის დახმარებით ახერხებ წონასწორობის შენარჩუნებას. ძალიან ბევრი ამერიკელი თუ ემიგრანტი მეგობარი მყავს. ვამაყობ მათთან ურთიერთობით და ყოველთვის ვგრძნობ მათ მხარდაჭერას. უცხოეთში აღმოვაჩინე, რომ თურმე ძალიან ჯიუტი ვარ და შემიძლია ყველაფრის სუფთა ფურცლიდან დაწყება. დარწმუნებული ვარ, ეს იყო ის უმთავრესი თვისება, რომელიც სრულიად უცხო გარემოში დამეხმარა ფეხზე დადგომაში. განსაკუთრებით რთული გზა გამოიარა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან წამოსულმა ემიგრანტთა ტალღამ. ყველაფრის ნულიდან დაწყება მოგვიხდა - განათლების, ურთიერთობების, კარიერის და ა. შ. ბევრმა ვერ გაუძლო ამ გამოწვევებს. ვერ ვიტყვი, რომ თავისუფალი სამყარო ძალიან ლმობიერი იყო მათ მიმართ.

- ხელოვანის შემოქმედება როდისაა უფრო ღირებული?

- ვფიქრობ, მხატვრის შემოქმედების ღირებულება მნიშვნელოვანწილად იმაშია, რომ მნახველს ფიქრისკენ უბიძგოს, საშუალება მისცეს, გონებაში საკუთარი ფერების, ანუ გრძნობების პერანგი ჩააცვას მხატვრის მიერ შეთავაზებულ ფორმებს. ყოველი ადამიანი ხომ ინდივიდია და ნანახს სხვადასხვაგვარად აღიქვამს.

- თქვენს ნამუშევრებში ემოციების მთელი პალიტრაა...

- ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ცხოვრებაც არ არის ერთფეროვანი. გრძნობები, მოვლენები, ხასიათები, ადამიანების ტიპაჟები ისეა ერთმანეთში გადახლართული, რომ მათი განცალკევება არაბუნებრივი და ხელოვნური იქნებოდა, მე კი ხელოვნური არაფერი მიყვარს. ის კი არ არის მნიშვნელოვანი, რაზე ვფიქრობდი ამა თუ იმ ნახატის შექმნისას, არამედ ის, რაზე ფიქრობს მნახველი, როცა მას უყურებს, რა გრძნობებს იწვევს მასში. ჩემი ნამუშევრები ჩემთვის გამოხატვის საშუალებაა. მგონია, რომ უფრო სულის საზრდოა, ვიდრე - გონების, წარსულთან კავშირია, რომლის გარეშე ვერ ვიქნებოდით. მგონია, რომ ჩემი ნამუშევრებით ერთგვარ კავშირს ვამყარებ მასთან. თუ ფესვებს მოვწყდებით, მომავალი აღარ გვექნება. პროტესტი ხელოვანის საქმეა, თუმცა ამას არ ვიყენებ.

- როცა ისეთ რამეს ამჩნევენ, რაზეც ხელოვანს არ უფიქრია, ეს კარგია თუ ცუდი?

- რა თქმა უნდა, კარგია. სასიამოვნოა, როცა ადამიანს შენი ნამუშევარი, ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად, აფიქრებს და ეხმარება. თუ ვინმეს ვახარებ, მეც მიხარია.

- როგორ და რაში უნდა ეხმარებოდეს ხელოვნება ადამიანს?

- ჩემი აზრით, ხელოვნება ადამიანს უნდა ეხმარებოდეს სილამაზის დანახვაში, აღქმაში ან, უბრალოდ, იმაში, რომ პოზიტივი მიიღოს. მე სწორედ ამ ყველაფერში მეხმარება და მიადვილებს ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავებას. სიცოცხლის აზრიც ხომ ეს არის - გამოცდა მარადისობისთვის. თუ როგორ გადავალთ მარადისობაში, ეს ჩვენზეც არის დამოკიდებული. ღმერთმა ადამიანს მიანიჭა თავისუფალი არჩევანი - შეუძლია აირჩიოს სიკეთის გზა, ან სხვა...

- რა უნდა იცოდეს მხატვარმა?

- ვერ გეტყვით. ყოველდღე ვსწავლობ. გუშინდელი ნასწავლი დღეს აღარ მაკმაყოფილებს. მუშაობ, ხატავ, მერე რომელიღაც არ მოგწონს, გადაარჩევ და... საზოგადოების წინაშე რომ წარსდგე, გამოფენა მოაწყო, ამას დრო სჭირდება.

- თქვენი აზრით, საქართველოში მხატვრებს შეუძლიათ საკუთარი შემოსავლით ცხოვრება?

- უჭირთ ხელოვან ადამიანებს. ვფიქრობ, გამოსავალი ცხოვრების დონის გაჯანსაღებაშია. არ უნდა იყოს სიღატაკე. ეს არის ყველაფრის უბედურება. ჩვენს ერს უყვარს ხელოვნება, მაგრამ ბევრ ადამიანს, ვისაც სურს, ჰქონდეს ნახატი, არ აქვს მისი ყიდვის საშუალება. მხატვრისთვის ძნელია ნამუშევრების გაყიდვა, მაგრამ მხოლოდ უცხოელებისთვის ხომ არ ხატავ? გინდა, რომ შენს ქვეყანაში დარჩეს. ვფიქრობ, გამოსავალი მაინც ცხოვრების დონის ამაღლებაა. ამერიკაში ცხოვრებამ ამ კუთხით ბევრ რამეში გამიკვალა გზა.

- ალბათ, მხატვრისთვის ძნელია ნამუშევრების გაყიდვა. გიჭირთ, შეელიოთ?

- თითოეული ნახატი მხატვრის ნაწილია. თავიდან მწყდებოდა გული, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ შენი ნახატები სხვამაც ნახოს და არ იყოს ჩაკეტილი. ამიტომ სჯობს, გაჩუქდეს, გაიყიდოს შედარებით იაფად, ვიდრე ჩაკეტილი იყოს.

- ძილის წინ რაზე ფიქრობს ემიგრანტი ხელოვანი?

- უამრავ რამეზე ვფიქრობ ძილის წინ - საქართველოში დარჩენილ ძვირფას ადამიანებზე, საკუთარ ადგილზე სამშობლოში და ამერიკაშიც. კარგია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით შემიძლია შეუზღუდავად ვეკონტაქტო ჩემთვის ძვირფას ადამიანებს. სამშობლოს კი ყოველთვის თან ვატარებ და მისი სითბოთი ვსულდგმულობ.

ჯემალ შონია: სიახლე ის მომავალია, რომელსაც აწმყოში ვეზიარებით

მე-5 გვერდიდან

- თქვენ ზვიად გამსახურდიას თანამოაზრე იყავით და მის გვერდით იღვწოდით. გასახსენებელი ბევრი გექნებათ. მათგან რას გამოარჩევთ და კიდევ რომელ ეროვნულ მოღვაწეს გაიხსენებთ?

- ზვიად გამსახურდია 1981 წლის სექტემბერში გავიცანი გალში. მას შემდეგ ჩვენი ურთიერთობა არ შეწყვეტილა. ზვიადმა უფრო გაალვივა ჩემი ნეგატიური დამოკიდებულება კომუნისტური წყობის მიმართ. უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სწორედ მისი წინადადებით წარმადგინეს. ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავასთან ერთად, არის სიმამაცისა და თავდადების, ჰუმანურობის, ზნეობისა და განათლებულობის, უანგაროობისა და უკომპრომისობის, ჯანსაღი ტრადიციულობისა და გაბედული ნოვატორობის განსახიერება.

- ლტოლვილობის შემდეგ თბილისში ცხოვრობთ... და, საერთოდ, როგორ ცხოვრობენ ლტოლვილები?

- ვაღიაროთ, დევნილებისთვის სახელმწიფო ვერაფერს აკეთებს. ახლანდელმა ხელისუფლებამ კი საერთოდ აიღო ხელი დევნილთა მშობლიურ სახლებში დაბრუნების ყველა რესურსის გამოყენებაზე, განსაკუთრებით - საერთაშორისო ბერკეტებზე. ხელისუფლება განუწყვეტლივ, შეუსვენებლივ, დაჟინებით უნდა აყენებდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს ყველა დონეზე, ყველა საერთაშორისო ინსტანციაში, მაგრამ პირიქით ხდება და დღეს რა სავალალო ვითარებაც გვაქვს, ყველა ხედავს, ისიც, ვინც ამაზე თვალს ხუჭავს.

- თქვენი ლექსები სათქმელის სიმძაფრით გამოირჩევა, დიდი ტკივილია მათში... ერთი ლექსი შემოგვთავაზეთ.

- ამ პატარა ლექსს შემოგთავაზებთ:

რომ არ ეხატოს...

ვდგავარ შუქივით მაგ შენს
თვალებთან,
უნდა ტკივილის ბნელი გავთელო...
ამ მიწას რაღა შემაყვარებდა,
რომ არ ეხატოს ზედ
საქართველო...
სინათლის თაყვანს ისევ ვეცადე,
უნდა დაგითბო ფიქრთა უბანი...
შემაყვარებდა რაღა ზეცასაც,
რომ არ ეხატოს ცაში უფალი.

- მწერალი მომავალში იხედება, თქვენ რას ხედავთ?

- ჭეშმარიტი მწერალი მომავლისკენ უნდა იხედებოდეს, ამისათვის არის საჭირო შემოქმედებითი სიახლისკენ სწრაფვა. წარსულის გადამღერება იგივე წარსულია, სიახლე ის მომავალია, რომელსაც აწმყოშივე ვეზიარებით...

- ცხოვრების გზას ახლა რომ ირჩევდეთ, რა გზას დაადგებოდით?

- ასეთ შეკითხვებს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ცხოვრებას ხელახლა ვერავინ იწყებს... მე, ალბათ, თავს დამტყდარი უბედურებების თავიდან აცილებას შევეცდებოდი.

- ტრადიციები ერის სარკეა. შიგ თუ კარგად ჩავიხედავთ, რა მოგვეწონება და რაა დღეს მიუღებელი?

- ჩვენს ერს დიდებული ტრადიციები აქვს. მიყვარს უფროს-უმცროსობის, სტუმარმასპინძლობის წესები, რელიგიური სადღესასწაულო რიტუალები, ჩვენებური ქალის კულტი, ბავშვის კულტი, ჩვენი მოწიწება წინაპართა და გარდაცვლილთა მიმართ; მიყვარს ქართული სუფრა, ოღონდ ზომიერი და არა სმა-ჭამაზე გადასული, ღრეობას რომ ვეძახით. რა თქმა უნდა, ჩვენს ყოფაში უზნეობა და ბოროტებაც საკმაოდ არის, მაგრამ მათ აღკვეთას ჩვენივე ზნეობრივი მაგალითებით უნდა ვეცადოთ და არა უხეში ძალის გამოყენებით, ცემა-ტყეპით. იქ, სადაც „ტკბილად მოუბარი“ ენა არ ჭრის, კანონი უნდა გვშველოდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ უზნეობის დაკანონება და წახალისება ლიბერალიზმის საბაბით არ უნდა ხდებოდეს.

- ბათუმი ბევრისთვის ნანატრი ქალაქია. თქვენ რას ეტყოდით ბათუმელებს?

- ბათუმში ხშირად არ ჩამოვდივარ, მაგრამ იგი ბათუმელივით მიყვარს. მომწონს განახლებული, თანამედროვე ქალაქი, მისი კულტურა და ვაფასებ ბათუმის როლს მთელი საქართველოს წინსვლაში. პირველ რიგში, მწამს, რომ ბათუმელი ქართველი ჭეშმარიტი პატრიოტია, ხოლო ბათუმელობა სამშობლოს ხალას სიყვარულს ნიშნავს.

ხსოვნა

ჰამლეტ თავდგირიძე

შუახევის პედაგოგიურ საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული წევრი - ჰამლეტ ფუტკარაძე გამოაკლდა. იგი დაიბადა 1973 წლის 9 სექტემბერს შუახევის რაიონის სოფელ კვიახიძეებში, პედაგოგის ოჯახში.

უმაღლესი განათლება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტში მიიღო უცხო ენათა ფაკულტეტზე რუსული ენის პედაგოგის სპეციალობით. წლების განმავლობაში მუშაობდა კვიახიძეების საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, სოფელ კვიახიძეების გამგებლად. სიცოცხლის ბოლო წლებში იყო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს ტექნიკური მუშაკი.

ჰამლეტ ფუტკარაძეს ყველა იცნობდა როგორც საქმიან, კეთილშობილ, ყურადღებიან, მეგობრულ ადამიანს. ის გახლდათ მზრუნველი მამა, მეუღლე, ბაბუა... წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომელსაც ყველგან დადებითი მუხტი შეჰქონდა ხალასი იუმორით, ცეკვა-თამაშით, სიმღერით. სტუმართმოყვარე, ღიმილიანი, შრომისმოყვარე, პურმარილიანი - ასე აფასებს მას ყველა. ჰამლეტ ფუტკარაძე ძალიან დააკლდება არა მარტო პედაგოგიურ საზოგადოებას, ოჯახსა და მეგობრებს, არამედ სოფელს, ქვეყანას.

უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი მის სულს!

შუახევის საგანმანათლებლო რესურსცენტრი,

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების შუახევის რაიონული საბჭო,

კვიახიძეების საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს.
ტელ: 27 48 93.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

გამომცემლობა რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

R
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3.

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 22/07/22, 20 35 სთ.

დღეს ბათუმში შავი ზღვის მუსიკისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი იხსნება

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ფესტივალი, რომელსაც წელს მეცხრედ უმასპინძლებს ჩვენი ქალაქი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. საქართველოს სახელმწიფოს ხელშეწყობით, მისი დამფუძნებელი და ორგანიზატორია ცნობილი პიანისტის ელისო ბოლქვაძის საქველმოქმედო ფონდი „ლირა“. ამ ფესტივალის, რომელმაც მეხუთედ მოიპოვა იუნესკოს მაღალი პატრონაჟი, დიდი დამსახურებაა, რომ შარშან ბათუმი იუნესკოს კრეატიული ქალაქების ნუსხაში მოხვდა. ფესტივალის ფარგლებში, მისი არსებობის განმავლობაში, სამოცზე მეტი უმაღლესი დონის კონცერტი გაიმართა, რომელშიც მსოფლიო სცენის ვარსკვლავები მონაწილეობდნენ

ბათუმის ხელოვნების ცენტრში 21 ივლისს გამართულ პრესკონფერენციაზე, სწორედ ფესტივალის შესახებ ისაუბრეს მისმა დამფუძნებელმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, იუნესკოს მშვიდობის არტისტმა, საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძემ და ფესტივალის მხარდამჭერებმა. მათ საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებს დეტალურად მიაწოდეს ინფორმაცია წლევანდელი ფესტივალის შესახებ. როგორც ელისო ბოლქვაძემ აღნიშნა, ფესტივალმა უკვე შექმნა საკუთარი ისტორია. მართალია, ბოლო ორი წელი კოვიდპანდემია საერთაშორისო ფესტივალებსაც შეეხო ყველგან და მათ შორის, ბათუმურ ფესტივალსაც, მაგრამ სასიხარულოა, რომ წელს იგი ტარდება. ფესტივალი 9 დღე გასტანს. გამრავალფეროვნდა მისი თემატიკა და მასზე არა მხოლოდ მუსიკა იქნება წარმოდგენილი, რომელშიც ქართველი და უცხოელი მუსიკოსები მონაწილეობენ, გაიმართება სხვადასხვა ღონისძიება, ლიტერატურული თუ კულინარიული. რა თქმა უნდა, სასიხარულო ფაქტია, რომ ფესტივალი წელსაც იუნესკოს მაღალი პატრონაჟით ტარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი იუნესკოს ღირებულებებს იცავს და ამ მიმართულებებში მან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა. მისი მთავარი მიზანი ახალგაზრდა მუსიკოსების ხელშეწყობაა.

ფესტივალს წელსაც არაერთი პარტნიორი ჰყავს, რომელთა გარეშე გაუჭირდებოდა არსებობა.

- 2013 წელს, როცა ფესტივალი დაიწყო, თავიდანვე დაგვიდგა გვერდით ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი. მადლობა მის დირექტორს გია მიქელაძეს და მთავარ ადმინისტრატორს ჯაბა სალუქვაძეს. ისინი ყველაფერს აკეთებენ ფესტივალის მაღალ დონეზე მასპინძლობისთვის. მადლობა მინდა გადავუხადო სახელმწიფო სტრუქტურებს, რადგანაც ფონდი „ლირა“, რომელიც ფესტივალის ორგანიზატორია, აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, რომელმაც გამოყო თანხები ფესტივალის ჩასატარებლად. ასევე დიდი მადლობა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ბათუმის მერიას. ბათუმი არის ქალაქი, რომელიც შარშან იუნესკოს კრეატიული ქალაქების ნუსხაში შევიდა, რაც მნიშვნელოვანია, - თქვა ქალბატონმა ელისომ. მან მადლობა გადაუხადა სადაზღვევო კომპანიას „არდი“, აჭარის ძეგლთა დაცვის სააგენტოს, კერძო სექტორს, მათ შორის, „ბაკურიანის წყალს“, რომელიც ფესტივალს წელს შეუერთდა.

ფესტივალის მთავარი მედიაპარტნიორია POSTV, რომელიც პირდაპირ ეთერში გადასცემს გახსნის საღამოს. გალაკონცერტი ეძღვნება უკრაინის თემას. ეს იქნება სიმბოლური საქველმოქმედო კონცერტი, სადაც ელისო ბოლქვაძესთან ერთად, ახალგაზრდა ტალანტი პიანისტები დაუკრავენ. მთელი შემოსული თანხა გადაეცემა უკრაინის დახმარების ფონდს. ეს არის სიმბოლური ჟესტი - ქართველი ბავშვები ამ ფორმით დაეხმარებიან უკრაინელ თანატოლებს.

- ცხრა წელია, ფესტივალი ტარდება და იგი ჩვენ თვალწინ თანდათან იზრდება. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ამ ხნის განმავლობაში ერთ-ერთ საუკეთესო ფესტივალად ჩამოყალიბდა ქართული კულტურის ისტორიაში და მნიშვნელოვნად საერთაშორისო გახდა. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ გეოგრაფიული თვალსაზრისით, არაერთი საერთაშორისო ფესტივალია, მაგრამ იმ პრივილეგიებს, რასაც კონკრეტულად საერთაშორისო თემატიკა სთავაზობს, ვერ იყენებს. ამ ფესტივალში 2013 წლიდან ვარ ჩართული და ყველა იმ ნიუანსმა და სირთულემ, რაც მის ისტორიას ახლავს, ჩემ თვალწინ ჩაიარა. ამიტომ ძალიან კარგად ვიცი, ქალბატონმა ელისომ რა რთული გზა გაიარა, რომ ფესტივალი დღეს ამ სახით მოსულიყო. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო საერთაშორისო ფესტივალი, ყოველ ჯერზე მასზე ჩამოდიან სხვადასხვა ქვეყნის მუსიკოსები და მათთან ურთიერთობა ძალზე მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ევროკავშირის კანდიდატის სტატუსთან ასე ახლოს ვართ. სწორედ ხელოვნება და კულტურა არის ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის საუკეთესო საშუალება, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძემ და დასძინა, რომ სამინისტრო ამ ფესტივალის თანადამფინანსებელია.

- ჩვენი კომპანია რამდენიმე წელია, რაც ამ არაჩვეულებრივი ფესტივალის ოფიციალური მზღვეველი და მხარდამჭერია. მადლობა ორგანიზატორებს და განსაკუთრებით - ელისო ბოლქვაძეს, რომ ყოველწლიურად ბათუმელებს, ჩამოსულ სტუმრებს, საზოგადოებას ასეთ საოცარ მუსიკალურ დღესასწაულს უწყობს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფესტივალს აქვს საგანმანათლებლო და წელს უკვე საქველმოქმედო დატვირთვაც, ის ქართული კულტურული ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. დარწმუნებული ვარ, ჩვენი თანამშრომლობა კვლავაც გაგრძელდება, - თქვა სადაზღვევო კომპანია „არდის“ მარკეტინგის წარმომადგენელმა ეკატერინე ხიდაშელმა.

- სასიამოვნოა, რომ ჩვენი სააგენტოც ჩართულია ამ ფესტივალში, წელს ერთ-ერთი ლოკაცია გონიოს ციხე იქნება (თუ ამინდმა ხელი შეგვიწყო). ფაქტობრივად, ამ ღონისძიებით იხსნება გონიოს ციხეში საზაფხულო სეზონი. წარმატებას ვუსურვებ ფესტივალს. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ღონისძიებების ღია ცის ქვეშ ჩატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს, - აღნიშნა აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორმა ზაურ ახვლედიანმა.

- ფესტივალის მუსიკალური ნაწილი მრავალფეროვნად და საინტერესოდ არის წარმოდგენილი. მოვაწყობთ ორი საინტერესო - ბერძნული და ფრანგულენოვანი ფილმის ჩვენებას, ერთი ქართველი და ერთი ამერიკელი მწერლის წიგნის პრეზენტაციას. კულინარიული კულტურის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება როგორც იტალიური, ასევე, იაპონური კერძები. იაპონიის საელჩოს მხარდაჭერით მოეწყობა იაპონური ტრადიციული კულტურის - ჩაის პრეზენტაცია. ასევე, წარმოდგენილი იქნება იაპონური საბრძოლო ხელოვნება, - აღნიშნა ფესტივალის ღონისძიებების რეჟისორმა შიო აბრახამიამ.

როგორც ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის მთავარმა ადმინისტრატორმა ჯაბა სალუქვაძემ თქვა, ცენტრის მთელი შემადგენლობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეს ცხრა დღე გადაიქცეს ზეიმად. მათ პატარა სიურპრიზებიც აქვთ მოფიქრებული - ერთ-ერთი ის არის, რომ მუსიკალურ ცენტრს შეემატა „ვენური“ კაფე.

ფესტივალი ბათუმის ხელოვნების ცენტრში დღეს, 23 ივლისს, საღამოს 20 საათზე საქველმოქმედო კონცერტით გაიხსნება. ელისო ბოლქვაძე ნორჩ პიანისტებთან ერთად წარსდგება მსმენელის წინაშე. ბათუმის შავი ზღვის მუსიკისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი 31 ივლისს დაიხურება.

ჭადრაკის საერთაშორისო დღე აღინიშნა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

1924 წლის 20 ივლისს ჭადრაკის საერთაშორისო დღე დაარსდა, რადგან სწორედ ამ დღეს დაფუძნდა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია (FIDE), ამ დღის აღნიშვნის ტრადიცია კი სათავეს 1966 წლიდან იღებს

აჭარის ჭადრაკის ფედერაციამ (პრეზიდენტი სალომე მელია) ამასთან დაკავშირებით, ბათუმის სხვადასხვა ლოკაციაზე ტრადიციულად, საინტერესო აქტივობები გამართა. ღონისძიების მხარდამჭერი გახლდათ ლანჩხუთის საჭადრაკო კლუბი, რომელსაც თენგიზ ხუხუნაიშვილი ხელმძღვანელობდა.

შეიძლება თამამად ითქვას - ამ დღეს ბათუმი ჭადრაკით სუნთქავდა. ღონისძიება დაიწყო ბათუმის მუხრან ვახტანგაძის სახელობის სპორტის სასახლიდან, სადაც, სიმბოლურად, ჭადრაკის დაფაზე ფიგურათა რაოდენობის აღნიშვნის მიზნით, წარმოდგენილი იყო 32 სპორტსმენი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. მოჭადრაკეებთან სიმბოლური სვლა გააკეთეს სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებმა და თეთრ და შავ მაისურებში გამოწყობილებმა, რომელზეც ჭადრაკის ფიგურები ჰქონდათ გამოსახული, დიდ დაფასთან მეგობრული მატჩი გამართეს.

აჭარიდან ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ის ჭაბუკები და გოგონები, რომლებმაც სხვადასხვა ნომინაციაში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე 8, 10 და 12 წლამდელთა კატეგორიებში თამაშის უფლება მოიპოვეს. ამ ჩემპიონატს ბათუმი სექტემბრის მეორე ნახევარში უმასპინძლებს.

ღონისძიებაზე კიდევ ერთხელ აღინიშნა სოფიო ტერელაძის წარმატება, რომელმაც 15 ივლისს ვეტერან ქალთა შორის (50+ ასაკობრივ კატეგორიაში) ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

დღის მეორე ნახევარში საჭადრაკო მაისურებში გამოწყობილმა მოჭადრაკეებმა ბათუმის ზღვისპირა პარკში გადაინაცვლეს. საინტერესო და მხიარული აღმოჩნდა როგორც მოჭადრაკეებისთვის, ისე ბათუმელებისა და ქალაქის სტუმრებისთვის ბულვარში გამართული საჭადრაკო ვიქტორინა. ეკითხებოდნენ ყველას, თუ რა იცოდნენ ჭადრაკის, ცნობილი მოჭადრაკეების შესახებ. გამარჯვებულებს სიმბოლურ საჩუქრებს გადასცემდნენ.

ბათუმისა და გურიის გუნდების წარმომადგენლებმა საჭადრაკო კლუბ „ნონაში“ ვეტერანებთან მეგობრული მატჩი გამართეს. სახელდახელოდ შექმნილმა გუნდებმა „დელფინები“ და „მხედრული“ მატჩი ფრედ დაასრულეს.

საღამოს 21-დან ღამის 01 საათამდე „აჭარაბეთ არენა“ საჭადრაკო ფერებში განათდა წარწერით „Play Chess“ („ითამაშე ჭადრაკი“).

ღონისძიებაში სხვადასხვა ეტაპზე მასში მონაწილეობდნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძე, სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მინდია ქათამაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დეპუტატი კახა კვიტაიშვილი, ლანჩხუთის სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი პაატა ურუშაძე, მისი მოადგილე დავით სულაქველიძე, სპორტის სხვადასხვა სახეობის ცნობილი ბათუმელი წარმომადგენლები ხათუნა გიორგაძე, კახა ვაჩეიშვილი, ლევან ცინცაძე.